სპორტიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 27 ივნისი 2005 №143 (2466) ფასი 50 თეთრი



ხუთზე ნაკლები არ ითვლება

დინამო ქემოპლიან მარშანიაში ითიდლ

3



ქრივის საღამო ატლანტიკ სიტიში

8

ახალგაზრდული საერთაშორისო სპორტული თამაშები

МЕЖДУНАРОДНЫЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ ЮНИОРОВ

ქართველთა მოსკოვ-ოლქური მონაგარი

12

მარცხი მამაკაცური

ვიტ ჯორჯიამ ქართულ ტრადიციას უერთგულა

ბადრი კეკელია

აბა, „ვიტ ჯორჯიასგან“ ფურორს ვინ ელოდა?.. არც არავინ, თუმც კბილა გუნდს ხვდებოდა და შემდეგ ეტაპზე გასვლის ფიქრის უფლებაც ჰქონდა. ფიქრი მართლაც მაგარი რამეა, ყველგან შეიძლება, მეტროს გადაჭედილ ვაგონში და „მარშუტკაშიც“ კი, სადაც სიმთვრალეში გულისასაკვნესებელი ქართული ჰანგები ჩაურთავთ შოფრებს.

მეორე გვერდი

ტრანსატლანტიკური ამბავი

ლათინოსების ეფროფინალი: ბრაზილია—არგენტინა გერმანიაში

AFP სანოვერიდან

ინტერტოტოს თასი 2005

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

ვიფიქროთ და ვიცინოთ

იუმორით დანასუფლი ამბავი

ბადრი ჯიბლაძის ფოტო

დავით თავართქილაძე

...56-ე წუთიდან უნგრელები ათნი დარჩნენ, თუმც ზედიზედ სამი საგოლე მომენტი გაანიავეს — ზოლტან ლიპტაკი გრიგოლ ბედიაშვილთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ იდაბდურა, შემდეგ ბალაშ ლასკას აულო მეტად რთული თავური ბედიაშვილმა, მერე კი იუჰეგიმ 3-4 მეტრიდან ააცილა ვიტელთა კარს, ხოლო ნამატჩევს ჩვენებურთა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ განაცხადა, იღბალმა დაგვაღალატა და წავაგეთო.

მოკლედ, ასეა ჩვენი საქმე — ვიფიქროთ და მაგრად ვიცინოთ.

„ვიტ ჯორჯიამ" 4-3-2-1 სქემით დაიწყო მატჩი. ცენტრფორვარდ ირაკლი ებანოიძეს ორი უკანდახეული გარემარბი, ოთარ მარცვალაძე და ზაზა სახოკია ეხმარებოდნენ მარცხნიდან და მარჯვნიდან. განლაგება მე-40 წუთზე შეიცვალა, როცა მცველ დავით აბშილავას ნაცვლად მოედანზე შუახაზელი ფარნაოზ კუსრაშვილი შევიდა.

პირველი წუთები უნგრელებისა იყო — გაბორ იუჰეგი ბედიაშვილთნ მარტო დარჩა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. რამდენიმე წუთში ისევ იუჰეგი გავიდა მეკარესთან პირისპირ, თუმც ალექსანდრე კვახაძემ ბოლო წამს ვარდნაში აართვა ბურთი... ვიტელებს რაღა დარჩენოდათ, აგრესიას უმატეს და ერთხელაც გამოჩნდა, რომ „ლომბარდ პაპა" მათი ტოლი და სწორი გუნდია.

მასპინძელთა მონდომებას რამდენიმე კუთხური მოჰყვა უნგრელთა კართან, აღსანიშნავია დავით დიღმელაშვილის შორიდან მოსხეპილი დარტყმაც — „პაპას" მეკარე ანდრეს დომბაი გაშეშდა, მაგრამ ბურთი ოდნავ გადასცდა ზარიხას.

36-ე წუთზე კი „ვიტ ჯორჯია" ერთხელაც გადარჩა — ისევ იუჰეგი შეატოვეს ბედიაშვილს, მაგრამ უნგრელს ამჯერად მიზანმა უმტყუნა.

კვლავ გაბრაზდა „ვიტ ჯორჯია", თითქოს ძალა მოემატა, სტუმრებსაც თითქოს მუხლები აუკანკალდათ, მაგრამ ამან ხეირი ვერ მოუტანა მუმლაძის ბიჭებს, არადა, შანსი იყო — დომბაი გამოსვლაზე შეცდა, ბურთი „პაპას" საჯარიმოს გარეთ გაგორდა, ლუკა რაზმაძემ მეკარისგან მიტოვებულ კარში სცადა გატანა, მაგრამ მისი ცაცია არაზუსტი გამოდგა — შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგოლე მომენტებით ვიტელებმა პირველი ტაიმი 1:2 დათმეს.

იმედიანად დაიწყო მეორე ტაიმი — 2-3 წუთი იყო გასული, ოთარ მარცვალაძე რომ გაიჭრა მარცხენა ფლანგიდან და დომბაისთან ეულად დარჩა, შორეულ კუთხეს დაუმიზნა ბურთი, მაგრამ...

არაუშავს, დრო კიდევაა. ეს „პაპაც" რომ დიდი ხვითო არაა, სულ უფრო კარგად ჩანს, მაგრამ ისიც ცხადია, ვიტელთა რამდენიმე ფეხბურთელი მოუმზადებელია, ყველას არ შეუძლია აქეთ-იქით სირბილი, ღალატობთ სიზუსტე, აკლიათ კონცენტრაცია — მეორე ტაიმში ყოველივე ეს ხელის გულზე დადებულივით გამოჩნდა.

გოლზეც ვთქვათ: ზოლტან ჰერსეგფალვიმ ვიტელთა მცველებთან ჭიდილში ჩამოიღო მაღალი ბურთი და 13-14 მეტრიდან ძალიან ძლიერად, აუღებლად დაურტყა ბედიაშვილს.

ისე, კაი უცნაური და ონავარი ბიჭი გამოდგა ჰერსეგფალვი, მეორე გაფრთხილება უწყინარ სიტუაციაში მიიღო — ვიტელთა ნახევარზე ჩვენებურთა სასარგებლოდ ჯარიმა დაინიშნა, უნგრელთა ფორვარდი კი ალბათ, დროის გაყვანის მიზნით ბურთთან მივიდა და ბედიაშვილისკენ გააგორა. გაძევებულს ქოქოლას და გინებას ჩვენს ეროვნულ სტადიონზე აბა, ვინ მოაკლებდა, მაგრამ აქ როდი დამთავრდა ყველაფერი — გასახდელისკენ მიმავალმა ჰერსეგფალვიმ მაისურა გაიხადა, ექსპონატივით გაშალა და მაძაგებელ პუბლიკას დანახა — მივდივარ, მაგრამ გოლი ამ ნომრით მოთამაშე ამ კაცმა გაგიტანათო.

რაც მისი გაძევების შემდეგ მოხდა, თავში მოგახსენეთ, თუმც უნგრელთა სამ გაცუდებულ მომენტს ერთი ნახევარმომენტიც უნდა დავუმატოთ — სწორი და ნაყოფიერი თამაშით გამორჩეულმა ტიბორ საბომ ხელსაყრელი პოზიციიდან, 16-17 მეტრად ოდნავ ააცილა.

„ვიტ ჯორჯია" ვეღარ აფეთქდა, საამისოდ ჯანი არ ეყო, თორემ „პაპა" წკიპზე ეკიდა, ერთი მაგარი დაჯიკავება და წაიქცეოდა. ვინ იცის, ვლადიმერ გოჩაშვილს 74-ე წუთზე ოციოდ მეტრიდან ძელისთვის რომ არ გაერტყა ბურთი, რა მოხდებოდა, მაგრამ ამაში არ უნდა იყოს საქმე — შარშან „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ჩემპიონი რომ გახდა, მას აქეთ მოტივაცია დაკარგა, გუნდი ფაქტობრივად, ვერაფრისთვის ვეღარ იბრძვის და, მიდი და მოსთხოვე ასეთ „ვიტ ჯორჯიას" ევროსარბიელზე გამონათება, თუნდაც თავის კბილა გუნდთან.

ფიქრის დრო და მუღამი კი ყოველთვის იყო და არის, თუნდაც ჩვეულებრივი ფაქტების დროს.





თბილისი. 26 ივნისი. 18 საათი. ეროვნული. 4 000 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია 0:1 ლომბარდ პაპა

პირველი მატჩი 1:2

0:1 ჰერსეგფალვი (48)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, აბშილავა (კუსრაშვილი 40), დ. ლომაია, ა. კვახაძე, იმედაშვილი, რაზმაძე (ლ. მანწკავა 75), ჯ. დათუნაიშვილი, დიღმელაშვილი, მარცვალაძე, სახოკია, ებანოიძე (ვ. გოჩაშვილი 51)
სათადარიგონი: მუჯრიშვილი, გ. კვახაძე, ცხომარია, გველესიანი
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

ლომბარდ პაპა: დომბაი, ა. ფარკაში, ვ. ფარკაში, მუტიკა, დერი, ტ. საბო, ლასკა, კოვრიგი (ზ. საბო 76), ჰერსეგფალვი, იუჰეგი (ზალაი 18), ლიპტაკი (ჩაზარი 66)
სათადარიგონი: ზეპე; ფაცკო
მწვრთნელი: ლაზარ სენტეში

გაფრთხილება: ლიპტაკი (14), ჰერსეგფალვი (34), სახოკია (55), ჰერსეგფალვი (56), კვახაძე (76)

გაძევება: ჰერსეგფალვი (56)

ლაზარ სენტეში: რთული თამაში იყო, მეტოქემ მაგარი ბრძოლა გაგვიმართა. „ვიტ ჯორჯიადან" მარცვალაძეს და სახოკიას გამოვარჩევდი, ისინი ძალიან სწრაფები და სახიფათონი არიან. რაც შეეხება ტიბორ საბოს, ის უნგრელი არაა, სერბია და ჩვენამდე „ფერენცვაროშში" თამაშობდა.

ნესტორ მუმლაძე: მოგებას ვგეგმავდით, დასანანია, რომ დავმარცხდით. ჩემი ფეხბურთელების უკმაყოფილო არ ვარ, ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ იღბალი მეტოქის მხარეს იყო. მთლიანობაში კარგად ვითამაშეთ, თუმც მეტოქესთან რაღაც-რაღაცები დავთმეთ — სეზონის მერე მზადება ახალი დაწყებული გვაქვს და ეს ამანაც განაპირობა. გამოცდილებით უნგრელებს არ ჩამოვრჩებით, მაგრამ იღბალი აშკარად მათ მხარეს იყო.

ბადრი ჯიბლაძის ფოტო



ბადრი ჯიბლაძის ფოტო

ხუთზე ნაკლები არ ითვლება

დინამომ ქემოკლიძე გერმანიაში მიიღო



დინამოელთა ბოლო შენაძენი რევაზ ქემოკლიძეა

თბილისის „დინამომ“ გუშინ გერმანიაში მოსამზადებელი ეტაპის მეორე მატჩი გამართა და ობერლიგის „ჰალბრონი“ 5:0 დაამარცხა.

— პირველ ყოვლისა, კმაყოფილი ვარ, რომ გუნდმა დავალება შეასრულდა, მთელი თამაში ბურთის გაკონტროლება შეძლო. თუმც ფეხბურთელებს აუცილებლად ვუსაყვედურებ გამოუყენებელი მომენტებისთვის, შეგვეძლო, ორციფრიანი სხვაობითაც დაგვემარცხებინა მეტოქე, მაგრამ... და კიდევ, ბოლო, დამაგვირგვინებელი პასისას ფეხბურთელებს ბევრი ხარვეზი აქვთ — თქვა ნამატჩევს „დინამოს“ მწვრთნელმა კახა ცხადაძემ, რომელმაც ამჯერადაც ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *სტურუა (ზოიძე 46), ალადაშვილი (თომაშვილი 60), გიგაური (ქემოკლიძე 46), ორბელაძე, კანდელაკი (აკობია 46), ბაბუნაშვილი, ნოზაძე (ცრიგალაშვილი 60), ოდიკაძე (ფარცხალავა 60), ნერგაძე (მახარაძე 60), ბობოხიძე (დვალიშვილი 46), მეგრელაძე (მელქაძე 46).*

„დინამომ“ რუიტში უკვე მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა და შეუცვლელად ოდენ სერგო ორბელაძემ ითამაშა — ხუთშაბათს „ფორტცაინთან“ და გუშინ „ჰალბრონთან“ სერგო თავიდან ბოლომდე მოედანზე იყო.

გუშინ კი პირველი გოლი მიხეილ ბობოხიძემ გია მეგრელაძის პასით 26-ე წუთზე გაიტანა. მეგრელაძემ მისცა პასი მეორე გოლისას შოთა ბაბუნაშვილსაც.

შესვენების შემდეგ კი ჯერ დავით ოდიკაძემ იყოჩარა, მერე აკობია-დვალიშვილი-მახარაძის ჩინებული კომბინაცია ლევან მელქაძემ დაასრულა გოლით, ბოლოს კი იმავ მელქაძემ გრიგალაშვილ-ფირცხალავას დაუფასა გარჯა... აღსანიშნია ისიც, რომ 70-ე წუთზე ტრავმამოშუშებული შოთა გრიგალაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მელქაძემ ვერ გამოიყენა, თავად გრიგალაშვილმა კი ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი ძელს მოარტყა.

„ჰალბრონთან“ მეკარე ირაკლი თოთლაძეს, ნახევარმცველ გიორგი ჭელიძესა და მცველ შოთა კაშიას არ უთამაშიათ. თოთლაძე და კაშია, ალბათ უკვე იცით, „დინამოს“ „ფორტცაინთანაც“ აკლდნენ, ჭელიძე კი გუშინწინ დაშავდა და „ჰალბრონთან“ ამიტომაც ვერ ითამაშა...

სამაგიეროდ, შაბათს „დინამოს“ რუიტში შეუერთდა რევაზ ქემოკლიძე, ვინც წინა ჩემპიონატის საუკეთესო მცველად დასახელდა. „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, ქემოკლიძე და „დინამო“ პირობებზე უკვე შეთანხმდნენ და ფეხბურთელის კლუბში დარჩენა უახლოეს მომავალში გაფორმებული კონტრაქტით დამტკიცდება.

გუშინვე რუიტში „დინამო“ მოინახულეს კლუბის მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ და ტექნიკურმა დირექტორმა ამირან ღიბრაძემ. ისინი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრას დაესწრნენ, იქიდან კი რუიტს მიაშურეს და ევროსარბიელის წინ გუნდი შეაგულიანეს.

კობა ინასარიძე

ტორპედო ნელ-ნელა ივსება

ბუბა ტყავაძის ფოტო

ოთარ გაბელია გაჰირვებას არ ნებდება

ქუთაისის „ტორპედო“ საახალსეზონოდ მზადებას განაგრძობს. გუნდში ჯერაც გაურკვეველი მდგომარეობაა, თუმცა ოთარ გაბელიას სამწყსო თანდათან მაინც ივსება. თბილისის „დინამოდან“ გადაბირებული მიხეილ კაკალაძის, კობა შალამბერიძისა და ლაშა ჭელიძის შემდეგ „ტორპედოში“ აზერბაიჯანული „გუსარიდან“ დაბრუნდა კახა კვეტენაძეც. ქუთაისში ითამაშებენ რევაზ ჯიქია და მიხეილ სოსელიაც, რომლებიც გუნდიდან წასვლას კი აპირებდნენ, მაგრამ ჩანს, გადაიფიქრეს.

გაბელიას იმედი აქვს, რომ „ტორპედოს“ დავით ბოლქვაძეც დაუბრუნდება, მაგრამ მისი და სხვა შესაძლო ახალწვეულების საკითხი ჯერაც არაა გადაწყვეტილი.

დღეს ტორპედოელები ორმხრივ მატჩს ჩაატარებენ, უახლოეს დღეებში კი ამხანაგური შეხვედრებიც აქვთ დაგეგმილი.

ლუბა თალაძვაძე

ბორჯომის სიძველეები და სიახლეები

ფრუიძის ახალი მწვრთნელ-ფეხბურთელები

უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ბორჯომში“ რამდენიმე სიახლეა. კერძოდ, მწვრთნელ სოსო ფრუიძის გუნდში მივიდა ვეტერანი მცველი ზვიად პაპიძე, ვისაც ბოლო ორი წელია, ფეხბურთი არ უთამაშია. პაპიძე ქართველ ქომაგს „ბათუმსა“ და ფოთის „კოლხეთში“ თამაშით ემახსოვრება, თუმც, როგორც გითხარით, მას კარიერის დასრულება ჰქონდა გადაწყვეტილი...

დიდი შანსია, „ბორჯომში“ ითამაშოს აზერბაიჯანულ „ბაკიდან“ აბარგებულმა თავდამსხმელმა მერაბ ძოძუაშვილმაც. მისით ქუთაისის „ტორპედოც“ იყო დაინტერესებული, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ბორჯომულ ამბებს საკადრო ცვლილებებით დავასრულებთ — ამ ცოტა ხნის წინ ფრუიძის თანაშემწედ გუნდის კაპიტანი იური გაბისკირია დაინიშნა. ჩანს, ეს პრაქტიკა გუნდში წარმატებულად ჩათვალეს და აი, მორიგი ნაბიჯიც: ფრუიძის მეორე თანაშემწეობას ვეტერანი გიორგი სუხიაშვილი გასწევს, თუმც, გაბისკირიას დარად, მოთამაშის კარიერის დასრულება არც მას გაუვლია გულში.

კახა შალამბერიძე

მეორედ დაბადება

ბათუმის „დინამო“ ახლიდან დარეგისტრირდა



ლევან ხომერიკი

„ბათუმი“ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს — ასეთი პასუხი გამოიტანა კლუბის პრეზიდენტმა რონ ნაკაშიძემ ფეხბურთის ფედერაციის ახალ თავკაც ნოდარ ახალკაცის კაბინეტიდან. მოგეხსენებათ, ბათუმელები ფინანსურ კრიზისში არიან, კლუბი თვითლიკვიდაციის პირას იყო და მათი უმაღლეს ლიგაში თამაშიც ამიტომ გახდა საეჭვო, თუმცა...

— ნოდარ ახალკაცს ვესაუბრე და კმაყოფილი დავრჩი. სიახლე კი ისაა, რომ აღარ არსებობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის „დინამო“, მის ნაცვლად შეიქმნა ახალი იურიდიული სუბიექტი — რეგისტრირებული კავშირი ბათუმის „დინამო“ — გვითხრა გუშინ რონ ნაკაშიძემ.

ამგვარად, ბათუმელთა საკითხი გაირკვა და გუნდის სეზონისწინა მზადებაზე გუშინვე მთავარ მწვრთნელ ამირან გოგიტიძეს შეკითხანეთ:

— ათი დღეა, ვარჯაში დავიწყეთ. გუნდში ძირითადად ახალგაზრდები არიან, აქცენტს 1988-89 წლებში დაბადებულ ბიჭებზე ვაკეთებთ. ვიტალი დარჩიძის და ბუდლარ თედორაძის გარდა გუნდიდან პაატა ჩიხელი, შალვა ხუციძე, ნიკა გუშარაშვილი და რამაზ სოფლაშვილიც წავიდნენ. რაც შეეხება ლევან ხომერიკს, იგი დღემდე არ გამოჩენილა და შეგიძლიათ, სწორი გუნდის წყვრად აღარ ჩათვალოთ. ხელწერას არავის დავუწყებთ.

ასეთი ამბებია ბათუმში. კლუბის თავკაცობა კი ირწმუნება, ახალ სეზონში გუნდს არ ვაუჭირდება და ძველი პრობლემები აღარ შეაწუხებსო...

ვნახოთ...

კახა შალამბერიძე

ზესტაფონი ლოკომოტივს შეეკედლა

კოშკაძე და გუშარაშვილი ანკარაშიც წავლენ?

ახალი სეზონისთვის მზადება „ზესტაფონმა“ თბილისში, საქართველოს ნაკრების ბაზაზე დაიწყო და „ლოკომოტივის“ დიღმის ბაზაზე აგრძელებს. მაინცდამაინც მნიშვნელოვანი სიახლე ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ ქართულ კლუბში ჯერ არაფერია. „ზესტაფონში“ დღემდე სულ ორი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს — ქუთაისის „ტორპედოდან“ წასული ალეკო კოშკაძე და „ბათუმიდან“ აბარგებული მცველი ნიკა გუშარაშვილი.

წინა სეზონის დასრულებისთანავე კი გუნდი ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა: აზერბაიჯანში აპირებს დაბრუნებას თავდამსხმელი ზაზა ზირაქიშვილი, ხიხუმის „დინამოში“ ეშურება ნახევარმცველი ვალტერ გუჩუა, ხიდი ლევან შალვულიძისა და მეკარე ზვიად ქეჩაჩხიას ასავალ-დასავალი ჯერ უცნობია.

ასევე უცნობია „ზესტაფონის“ სეზონისწინა მზადების ხასიათი გუნდმაც. იმერლები შეკრების გაელას თურქეთის დედაქალაქ ანკარაში აპირებენ, მაგრამ რიდის და რა ხნით წავლენ, ჯერ არ იციან. საღამოობით კი „ლოკომოტივის“ ბაზა საკმაოდ დატვირთულია — მასპინძელია გარდა, როგორც ვიცით, იქ „ზესტაფონიც“ ვარჯიშობს.

კობა ინასარიძე



ბუბა ტყავაძის ფოტო

ნიკა გუშარაშვილი

ბადრი კეკელიძის ფოტო

ალექსანდრე კოშკაძე

ჩალაძე ჩინეთში ჩავიდა

სკონტო გიორგი ონიანს აკვირდება

დავით ჩალაძე (მარჯვნივ) შესაძლოა, მესამე „ჩინელი“ ქართველი გახდეს

29 **წლის** ქართველი თავდამსხმელი დავით ჩალაძე ლატვიური „სკონტოდან“ წავიდა და ახლა ერთ-ერთ ჩინურ კლუბში ისინჯება. შეგახსენებთ, ჩალაძე ერთ დროს რიგელთა საუკეთესო ბომბარდირი და წამყვანი ძალა გახლდათ, მაგრამ ამ სეზონში ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი ძირითად შემადგენლობაში. ხუთი წლის წინ ჩალაძე „სკონტოდან“ რუსულ „რუბინში“ გადავიდა და ყაზანელები რომ პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში აღზევდნენ, მისი დიდი დამსახურებაც იყო — ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა.

ჩალაძე მიმდინარე სეზონის დასაწყისში ლატვიურ „ვენტაში“ ჩარიცხვას აპირებდა, თუმცა მაინც „სკონტოში“ აღმოჩნდა...

შედეგად, „სკონტოში“ სამი ქართველი დარჩა — ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან კორღალიძე და ზაალ ელიავა, რომელთაც შესაძლოა, ლოკომოტიველი გიორგი ონიანიც შეემატოთ.

ჩინეთში კი აქამდე ორ ქართველს უთამაშია — მეკარე გოჩა ჟორჟოლიანსა და საქართველოს ნაკრების ყოფილ მცველ გიორგი ჩიხრაძეს.

ილია ნანოგაფვილი

ირაკლი ვაშაკიძე: ერთი კვირაც და ისევ უცხოეთი

ბოლნისის „სიონიდან“ აბარგებული ირაკლი ვაშაკიძე კარიერას უცხოეთში გააგრძელებს. ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ, როგორც ირაკლიმ გვითხრა, მას საკმაო წინადადებები აქვს საზღვარგარეთიდან და მათგან საუკეთესოს აარჩევს. როგორც იცით, ტანშაღალი მცველი გასული სეზონის პირველ ნახევარში ბერძნულ „არისში“ ირიცხებოდა, მაგრამ იქ დიდხანს ვერ გაჩერდა და „სიონში“ იმ დროს გადავიდა, როცა ქვემოქართლელები ბოლოსწინა, გასავარდნ ადგილზე იყვნენ.

„ერთ კვირაში ზუსტად მეცოდინება, სად გადავალ. ქართული კლუბების ვარიანტებიც მაქვს, მაგრამ უცხოეთში უფრო მინდა წასვლა“ — გვითხრა ირაკლი ვაშაკიძემ, რომელიც „სიონმა“ ტრანსფერზე დააყენა.



ბადრი კეთილაძის ფოტო

ლუკა თალაკვაძე

ბათიც ბაქოში



ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან ფეხბურთელთა აზერბაიჯანში გადინება გრძელდება — ზურაბ ბათიაშვილმა ბაქოს „ხაზარს“ მიაშურა, თუმც დარჩება თუ არა იქ, ჯერ უცნობია.

26 წლის ბათიაშვილი თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე იყო, წინა სეზონში კი ფოთის „კოლხეთის“ კარს დარაჯობდა.

ნიკა ჯორჯაძე

გიორგი განუგრავა ახალი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია — „ზესტაფონის“ 17 წლის ნახევარმცველი წინა სეზონის აღმოჩენად დაასახელეს. ჩვენც გადავწყვიტეთ, უფრო ახლოს გავიცნოთ ეს ფეხბურთელი და ეს ინტერვიუ ჩამოვართვით... მაშ ასე, გიორგი განუგრავა „სარბიელის“ კითხვებს პასუხობს...



გიორგი კეთილაძის ფოტო

იმედი მომავლიდან

გიორგი განუგრავა: ვერასოდეს ვიტყვი, ფეხბურთელად დავიბადეო

— ფეხბურთზე 7 წლისა შევედი. ანზორ ზუკაკაშვილმა „ავაზაში“ მიმიყვანა, ძალიან ბევრი ტურნირი მოვიგეთ და მეც კარგად ვთამაშობდი. მერე კუნთი დამეჭიმა, ტრავმა გამირთულდა და ფორმიდან ამოვვარდი. მაგრად გავწამდი, მაგრამ „ავაზას“ მწვრთნელმა ნუგზარ ჩიტაურმა მაინც ამიყვანა გუნდში, ამ კაცის განსაკუთრებულად მადლიერი ვარ. მერე „დერბიში“ გადავედი გელა გომელაურთან, მოგვიანებით კი „მარდში“ თამაზ კოსტავასთან. ამ კლუბის უფროსობამ „ამერის“ შექმნა გადაწყვიტა და პირველ ლიგაში ვითამაშეთ. ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი იყო გუნდში, იგივე გიორგი ჩიხრაძე და გიორგი კილასონია...

— „ამერში“ ცუდად არ თამაშობდი, მაგრამ გუნდიდან წასვლა მოგიწია...

— ეს ყველაზე შავი წერტილია ჩემს ცხოვრებაში. რაღაც პრობლემები იყო და გუნდიდან წამოვედი. „დინამო 2“-შიც გაურკვევლობაში ვიყავი და ექვსი თვე უთამაშებელი დავრჩი და ბედად, „ზესტაფონში“ მოვხვდი.

— „ამერში“ 15 წლის ბიჭი ლამის მამისტოლა თანაგუნდელებთან შებოჭილი არ იყავი?

— თავიდან კი. ჩემმა ტოლმა ბექა გოცირიძემ კილასონიას „კილასონია ბიძიაც“ კი დაუძახა, მაგრამ მათ თავიანთი თანატოლებივით მიგვიღეს, გვამხნევებდნენ...

— ვიცი, „ამერს“ ახლაც გულშემატკივრობ. მომავალ სეზონში კი ამ გუნდის წინააღმდეგაც მოგიწევს თამაში...

— ძალიან გამიხარდა, „ამერი“ უმაღლეს ლიგაში რომ გადავიდა. ვგულშემატკივრობ რომელია... პირველი ნაბიჯი ამ კლუბში გადავდგი და გულწრფელად მწყინს, რომ იქ კარიერა ვერ ამეწყო. თითქმის ყველა ამერელი ჩემი მეგობარია, მაგრამ მინდორზე 90 წუთი ჩემი მტრები იქნებიან.

— ახლა „ზესტაფონზე“ გადავიდეთ. ოდენ ნახევარი სეზონი ითამაშე და სეზონის აღმოჩენად რომ დაგასახელეს, არ გაგიკვირდა?

— თემურ მახარაძის დიდი მადლობელი ვარ. იგი თავიდანვე მენდო და ძირითადშიც მათამაშებდა. საუკეთესოობა ამიტომაც არ გამკვირვებია.

— შენ ვის დაასახელებდი აღმოჩენად?

— ჩემს თანაგუნდელ ბექა გოცირიძეს. იგი ძალიან ნიჭიერია, მგონი, ზედმეტად ნიჭიერიც კი. რაც მთავარია, მან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში პირველივე ცდაზე ისახელა თავი — ალბანეთში შეცვლაზე შესულმა გადამწყვეტი გოლი შეაგდო.

— როგორ ფიქრობ, თავადაც „ზედმეტად ნიჭიერი“ ხარ თუ შრომით აღწევ მიზანს?

— მე მშრომელი ვარ. მე არ შემიძლია, მთელი გუნდი მოვატყუო და გოლი გავიტანო. ამიტომაც, რაც არ შემიძლია, იმის უშნოდ გაკეთებას არ ვცდილობ. ვერასოდეს ვიტყვი, ფეხბურთელად დავიბადე-მეთქი...

— ცენტრალური ნახევარმცველი ხარ, თუმც რამდენჯერმე მარცხენა მცველადაც ითამაშე...

— ამას უკვე მივეჩვიე, თუმც შუა მარცხენა ნახევარმცველად უფრო გამოსადეგი ვარ.

— „ზესტაფონში“ ვინ არიან შენი საუკეთესო პარტნიორები?

— ჩემი ამპლუის გათვალისწინებით, კახა ჩხეტიანი და სევასტი თოდუა, თუმცა გიორგი თურმანიძეს, ზურაბ იონანიძესა და ზაზა ზირაქიშვილსაც კარგად ვუგებ. ძალიან მეწყინა, ზირაქიშვილი რომ „ზესტაფონში“ აღარაა. „ამერში“ კი ჩემი საუკეთესო პარტნიორი გიორგი ჩიხრაძე იყო.

— ამ სეზონში ყველაზე კარგად რომელ მატჩში ითამაშე?

— „თბილისთან“ თასზე 2:1 და ჩემპიონატში 3:0 მოგებული თამაშები. „დინამოსთანაც“ გამოვიჩინე თავი. ერთი სიტყვით, ძლიერებთან კარგად წარმოვჩინდი.

— ყველაზე ცუდად კი, ალბათ, „ლოკომოტივთან“ წაგებული თასის ფინალი დაგამახსოვრდა...

— რა თქმა უნდა. ძალიან ვინერვიულე, არაფრით არ გამოგვივიდა თამაში. წაგების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ „ზესტაფონს“ უპირობო ფავორიტად თვლიდნენ.

— ამ წაგების გამო გუნდში გულგატეხილობა ხომ არ იგრძნობა?

— არა, ჩვენმა პრეზიდენტმა ილია კოკაიამ გაგვამხნევა, ამ სეზონში თქვენით მაინც კმაყოფილი ვარო. ეს შედეგებით, თორემ თამაშის ხარისხით კმაყოფილი არავინაა — მეტი შეგვეძლო.

— „ზესტაფონის“ გულშემატკივრებზე რას იტყვი? ვიცით, მათი ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი ხარ...

— მეც ვცდილობ, მათ კარგი თამაშით გადავუხადო მადლობა. ზესტაფონში განსაკუთრებული ატმოსფეროა, გამორჩეული ქომაგები გვყავს. ამდენი ხალხი რომ გამხნევებს, ბოლომდე ბრძოლას როგორ მოერიდები...

— შენმა თანაგუნდელმა სერგეი ნუდნიმ თქვა, ზესტაფონში ცხოვრება მიჭირსო...

— ნუდნი უცხოელია და მას განსაკუთრებით უჭირს. ისე, მართლა რთულია: ზესტაფონში ფეხბურთელი თავს ბედნიერად ვერ იგრძნობს, მაინც პატარა ქალაქია და თავისუფალ დროს გართობას ვერ ახერხებ, თუმცა ახლა იქ სასტუმროს აშენებენ და სტადიონიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება საქართველოში.

— ყველა ასაკის ნაკრებში გითამაშია, გარდა ეროვნულისა. იქ მოსახვედრად რამდენი წელი დაგჭირდება?

— ეროვნული ნაკრები ჩემი ოცნებაა, თუმცა საამისოდ ჯერ არ ვარ მომწიფებული.

ილია ნანოგაფვილი

ბერლუსკონი ჯილარდინომ შეაშინა
გალიანი: პატრონი აზრზე არაა

„მილანის“ პატრონმა სილვიო ბერლუსკონიმ ალბერტო ჯილარდინოს ფასი, 25 მილიონი ევრო იძვირა და თან ისიც თქვა, მეეჭვება პარმელი ფორვარდი ამ თანხად თუნდაც „ჩელსიმ“ შეიძინოსო.

„ჯილარდინო ძალიან ძვირია და ნაღდად არ მსურს, მის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გადავიხადოთ. მითუმეტეს, როგორც გავიგეთ, „პარმას“ სპონსორი გამოუჩნდა და ახალი გუნდის მშენებლობას აპირებენ. ასეთ შემთხვევაში გუნდის მთავარ ფეხბურთელს ალბათ არ შეელევიან. შეიძლება, ფასიც ისე აუწიონ, „ჩელსიც“ ვერ შესწვდეს“.

ცნობილია, რომ ლონდონურ „ჩელსისაც“ სურს ალბერტო ჯილარდინოს გადაბირება, მაგრამ, როგორც ფეხბურთელის აგენტი ბეპე ბონეტო ამბობს, მის კლიენტს „მილანში“ გადასვლის ვარიანტი უფრო ხიბლავს.

იტალიური მედიის ინფორმაციით, ერთ-ერთი შვეიცარიული კომპანია „პარმასთან“ მოლაპარაკებას აწარმოებს და სულ მალე „ლურჯ-ყვითლებს“ ახალი მფლობელი ეყოლებათ.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, მაინც ვეცდებით ალბერტო ჯილარდინიოს შეძენას, კლუბებს შორის დიალოგი ჯერ არ დამთავრებულაო.

„მინდა გითხრათ, რომ სილვიო ბერლუსკონიმ ამ საქმის დეტალები არ იცის. პარმელები ხელახალ მოლაპარაკებაზე თანახმანი არიან. ვფიქრობ, ისინი სატრანსფერო ფასსაც დაუწევენ“ — უთხრა გალიანიმ „კორიერე დელო სპორტ-სტადიოს“.

ვაჟა ხუციშვილი



სილვიო ბერლუსკონის ალბერტო ჯილარდინოს სატრანსფერო ფასი ეძვირა

„ინტერის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი ანდი ვან დერ მეიდე შესაძლოა, „მონაკოში“ აღმოჩნდეს. არადა, თითქოს გადაწყვეტილი იყო მისი „პენფიგაში“ გადასვლა. ჰოლანდიურ მედიასთან საუბარში ფეხბურთელმა განაცხადა: „პორტუგალიაში თამაში მსურს, „ბენფიკა“ კარგი გუნდია და ჩემპიონთა ლიგაში თავის გამოჩენის საშუალება მექნება“

ინტერი იცლება და ივსება
ვუჩინიჩი არ დალპება

მიუხედავად ამისა, ანდი ვან დერ მეიდე აგენტთან ერთად დღეს მონაკოში ჩავა და დიდე დეშანს შეხვდება. ვარაუდობენ, რომ ფრანგული კლუბი ნაცად ხერხს მიმართავს და ჰოლანდიელს იქირავებს. ასეთი ნაქირავები მოთამაშეები კი დეშანს გუნდში საკმაოდ ჰყავს.

ვან დერ მეიდესი არ იყოს, „ინტერი“ ზედმეტი ფეხბურთელებისგან იცლება, მაგალითად, ფრანკო სემიოლი „კიევოში“ გაუშვა, მაგრამ ისე როგორ იქნება, მასიმო მორატიმ ერთი კაცი მაინც არ დაიმატოს. ბერგამოს „ატალანტას“ ნიგერიელმა ფორვარდმა სტეფან მაკინვამ გუშინ თქვა: „ვიმედოვნებ, რომ „ინტერში“ ჩემი გადასვლის ამბავი ორშაბათსვე მოგვარდება. მსურს, დიდ გუნდში ვითამაშო, რომელიც ყოველთვის ჯილდოებისთვის იბრძვის“.



მირკო ვუჩინიჩი „ლეჩედან“ „ინტერში“ არ გადავა

სტეფან მაკინვას „შავ-ლურჯები“ თავიდან ალბათ სხვა კლუბში გაანათხოვრებენ, თუმც ოავად ნიგერიელი უარზეა, ჩემთვის მსგავსი რამ არავის უთქვამს, ძირითად შემადგენლობაში თამაში მინდაო.

და ბოლოს, „ლეჩემ“ კატეგორიული უარი განუცხადა რობერტო მანჩინის გუნდს სერბი ფორვარდის, მირკო ვუჩინიჩის დაიჭერაზე, იმიტომ მაინც არ ითამაშებს და [illegible] დარიგოთა სკამზე დასაბრძანებლად ჩვენი ფეხბურთელი არ [illegible]

ვაჟა ხუციშვილი

მოჯი ვიეირაზე ფიქრობს
ვენგერმა სამი დაადასტურა

„იუვენტუსის“ შეფი ლუჩანო მოჯი მუდამ საქმეშია

„იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, პატრიკ ვიეირას გადმობირებაზე ვფიქრობთო: „ჩემი აზრით, გუნდს ნახევარდაცვაში გაძლიერება უფრო სჭირდება, ამიტომაც ვცდილობ ფრანგის შეძენას, მაგრამ „არსენალი“ მას ვერ ელევა“.

პატრიკ ვიეირამ კი არაერთხელ თქვა, „არსენალი“ ევროთასებზე ვერაფერს აღწევს და ამის გამო გუნდიდან წასვლას ვაპირებო.

ამასობაში, „ჩელსიმ“ „იუვენტუსს“ დავიდ ტრეზეგეზე ჩამოუგდო სიტყვა და ეს ტრანსფერი თუ განხორციელდა, მაშინ ტურინელებს ვიეირასთვის ფული გაუჩნდებათ.

ლუჩანო მოჯიმ დაადასტურა, რომ „ჩელსის“ ტრეზეგეზე ესაუბრნენ: „ლონდონელებმა ფრანგი ფორვარდის თაობაზე მართლაც მოგვმართეს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვა. ტრეზეგეს გაყიდვა არ გვსურს, ისევე, როგორც მადრიდის „რეალში“ ბუფონის გაშვება“.

იტალიური მედიის ცნობით, „იუვენტუსი“ დავიდ ტრეზეგეს მხოლოდ 20 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელევა და ამის შემდეგ თუ შეიძენს პატრიკ ვიეირას.

„ამ დროისთვის ანტონიო კასანო „რომას“ ფეხბურთელია, მაგრამ 31 აგვისტოს, როცა სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება, რომაელები 13 მილიონ ევროზე თუ არ დაგვთანხმდებიან, მაშინ ამ ტრანსფერს გადავხედავთ“ — აღნიშნა „იუვეს“ გენერალურმა დირექტორმა. მადრიდის „რეალი“ კი იქით არ ეშვება კასანოს. ბოლო ცნობის თანახმად, „სამეფო კლუბს“ კასანოს ერთი წლით დაქირავება სურს და „რომასთან“ ამ გარიგებაზე საუბრობს.

რაც შეეხება პატრიკ ვიეირას... არსენ ვენგერი დარწმუნებულია, რომ ვიეირა, ანრი და პირესი „არსენალში“ დარჩებიან. გარდა ამისა, „მეთოფეთა“ ფრანგი მწვრთნელი ორი ახალი, მაღალი კლასის ფეხბურთელის შეძენას გეგმავს. მათ შორის ერთი ბრაზილიელი რობინიოა, რომელიც მადრიდის „რეალსაც“ სურს. რობინიოს აგენტმა ჟუან ფიგერმა განაცხადა, „არსენალმა“ 14 მილიონი ევრო შემოგვთავაზა და ამ მხრივ ლონდონელები უპირატესობას ფლობენო.

ვაჟა ხუციშვილი

„უდინეზეს“ ჩილელმა ნახევარმცველმა დავიდ პიზარომ დაადასტურა, რომ „რომაში“ გადასვლას აპირებს. მოგეხსენებათ, უდინელთა ყოფილმა თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ უკვე ჩაიბარა დედაქალაქელთა გუნდი და პიზაროც ნაცნობი მწვრთნელის გზას დაადგა

პიზარო სპალეტის გამოეკიდა
რომა ბაზარზე ბზრიალებს

ჩილელი ტურინის „იუვენტუსსაც“ სურდა, თუმც მის აგენტ ფერნანდო იდალგოს თქმით, ეს ვარიანტი აღარ გამოვა.

„ჩემი კლუბის პატრონმა იცის, რომ მე „რომაში“ თამაში მინდა და სულ მალე ეს ტრანსფერი მოგვარდება“ — განაცხადა ჩილელმა.

რომაელები კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელის შეძენას ლამობენ. 29 წლის რიკარდინიო „სანტოსის“ ნახევარმცველია და ბრაზილიელები იტალიელებს მის სანაცვლოდ 4 მილიონ 400 ათას ევროს სთხოვენ.

გარდა ამისა, თითქმის გადაწყვეტილია „ლივერკუზენიდან“ დიეგო პლასენტეს გადაყვანა. არგენტინელ მცველს გერმანულ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ალბათ „რომაში“ აღმოჩნდება. მისი აგენტი ოთხი დღეა, რაც იტალიის დედაქალაქში იმყოფება და თავის კლიენტის ჯამაგირზე ვაჭრობს.

ვაჟა ხუციშვილი

დავიდ პიზაროს „რომაში“ თამაში სურს

ბრიუგემ ლეგენდა გაითავისა
კულემანსი ისტორიას დაუბრუნდა

იან კულემანსმა „ბრიუგე“ ჩაიბარა

ლეგენდარული ბელგიელი იან კულემანსი „ბრიუგეს“ მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. კულემანსმა ნორვეგიელი ტრონდ სოლიედი შეცვალა და კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სოლიედი პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ გადავიდა, მისი ბელგიელი მემკვიდრე კი ის კაცია, რომელიც სამშობლოში სამჯერ (1981, 1985, 1986) ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

ტრონდ სოლიედის თავკაცობით „ბრიუგემ“ ხუთი სეზონის განმავლობაში ჩემპიონატი და თასი ორ-ორჯერ მოიგო, ხოლო იან კულემანსმა ფეხბურთელობისას „ბრიუგეში“ თასი ორჯერ აღმართა და ბელგიის ჩემპიონი სამჯერ გახდა.

რაც შეეხება იან კულემანსის სანაკრებო კარიერას, 1980 წელს ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლი, 1986 წლის მუნდიალზე კი მეოთხე ადგილი ერგო.

იან კულემანსმა მწვრთნელობა 1992-ში „აალსტში“ დაიწყო, შემდეგ „ინგელმუნსტერში“ გადავიდა, 1999 წელს კი „ვესტერლო“ ჩაიბარა და ამ გუნდთან ერთად 2001-ში ბელგიის თასი მოიგო.

ვაჟა ხუციშვილი

ბაზილე ბოკაში აიზილა



ალფიო ბაზილე

არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — სამხრეთამერიკულ გრანდს ამიერიდან ეროვნული ნაკრების ექსთავკაცი, 62 წლის ალფიო ბაზილე დამოძღვრავს.

ბაზილეს „ბოკაში“ მისვლა კი ლეგენდარული დიეგო მარადონას დამსახურებაა. კლუბში ვიცე-პრეზიდენტად ახლახან დანიშნულმა დიეგომ უმწვრთნელოდ დარჩენილ მშობლიურ გუნდს ძველი ძასწავლებელი სწორედ ურჩია. შეკახსენებთ, რომ „ბოკას“ აქამდე ხორხე ბენიტესი უძღვებოდა, მაგრამ ლიბერტადორესის თასზე მექსიკურ „გვადალახარასთან“ მომხდარი სკანდალური ინციდენტის მერე (ბენიტესს ერთ-ერთმა მექსიკელმა ფეხბურთელმა საჯაროდ შეაფურთხა), ხორხემ კატეგორიული უარი თქვა „ბოკაში“ დარჩენაზე.

„ალფიო ბრწყინვალე სპეციალისტია. ეჭვიც არ მეპარება, რომ ახალი მწვრთნელი „ბოკა ხუნიორსს“ კრიზისიდან მალე გამოიყვანს“ — აღნიშნა მარადონამ „კლარინთან“ ინტერვიუში.

ალფიო ბაზილე მართლაც გამოცდილი მწვრთნელია, მას ადგილობრივი კლუბები — „კოლონი“, „სან ლორენსო“, „ველეს სარსფილდი“, „ჩაკარიტა ხუნიორსი“, „როსარიო სენტრალი“, „ურაკანი“, „ინსტიტუტო“, „ტალიერესი“ და „რასინგი“, აგრეთვე ესპანური „ატლეტიკო“, ურუგვაული „ნასიონალი“ და მექსიკური „ამერიკა“ გაუწვრთნია. არგენტინის ეროვნულ გუნდზე რომ არაფერი ვთქვათ, დაგვეთანხმებით, სია ერთობ შთამბეჭდავია.

მისი ოფიციალური პრეზენტაცია 30 ივნისს შედგება და, როგორც იქაური გაზეთები გვამცნობენ, „ბოკაში“ მარადონასა და ბაზილეს უშუალო ძალისხმევით, არც მეტი, არც ნაკლები, ბრაზილიელი რივალდო გამოჩნდება.

„მერწმუნეთ, ბოკას“ ახლანდელი ცუდი დროება უკვე წარსულია“ — ამაყად თქვა ალფიო ბაზილემ „კლარინთან“ ინტერვიუში.

ლადო ხომერიკი

ჰატანეცი საქმეს ეწია



სრეჩკო კატანეცი სამუშაოდ აზიაში წავიდა

სლოვენიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 42 წლის სრეჩკო კატანეცი ქუვეითის ეროვნულ გუნდს ჩაუდგა სათავეში. კატანეცმა თანამდებობაზე შეცვალა მუჰამად იბრაჰიმი, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩრდილოეთ კორეასთან 0:4 წაგების გამო მოხსნეს თანამდებობიდან. ამ წაგებამ ქუვეითის ნაკრებს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ავტომატურად გასვლის შესაძლებლობა მოუსპო.

ფეხბურთელობისას კატანეცს იუგოსლავიის ნაკრებში 31 მატჩი აქვს ჩატარებული და მონაწილეობა მიუღია ისეთ დიდ ტურნირებში, როგორებიცაა ევროპის 1984 წლის ჩემპიონატი, ლოს ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიადა, სადაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი.

მისი ხელმძღვანელობით სლოვენიის ნაკრებმა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე ითამაშა.

ბაბუნა კედია

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ინტერტოტოს თასი 2005



AFP გეტტიდან

გენტი — ბოჰემიანსი. სტუმარმა დომინიკ ფოლიმ მასპინძელი მაამარ მამუნი ჰაერში დაჯაბნა

პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

ლისბურნი (ჩრდ. ირლანდია)	0:1	*ჟალგირისი (ლიტვა)* (0:1)
გიოტებორგი (შვედეთი)	3:1	როსპორტი (ლუქსემბურგი) (2:1)
სილეკსი (მაკედონია)	1:2	*ბეითარი (ისრაელი)* (3:4)
ქსამაქსი (შვეიცარია)	6:0	არარატი (სომხეთი) (3:1)
გენტი (ბელგია)	3:1	ბოჰემიანსი (ირლანდია) (0:1)
შტურმი (ავსტრია)	5:0	რეინჯერსი (ანდორა) (1:1)
ბუდუჩნოსტი (სერბეთი)	2:2	ლა ვალეტა (მალტა) (5:0)
ლეხი (პოლონეთი)	2:0	კარვანი (აზერბაიჯანი) (2:1)
ლოკერენი (ბელგია)	0:1	ტრანსი (ესტონეთი) (2:0)
პოგონი (პოლონეთი)	6:2	ტილიგული (მოლდოვა) (3:0)
ვარტექსი (ხორვატია)	4:1	დინამო (ალბანეთი) (1:2)
დრავა პტუი (სლოვენია)	0:1	*სლავენი (ხორვატია)* (0:1)
გლორია (რუმინეთი)	11:0	ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) (5:0)
დინაბურგი (ლატვია)	2:0	ბანგორ სიტი (უელსი) (2:1)
ვეტრა (ლიტვა)	1:4	*კლუჟი (რუმინეთი)* (2:3)
დუბნიცა (სლოვაკეთი)	2:0	ვაშაში (უნგრეთი) (0:0)
პობედა (მაკედონია)	2:1	სარტიდი (სერბეთი) (1:0)
აკრანესი (ისლანდია)	0:4	*ინტერი (ფინეთი)* (0:0)
ტამპერე (ფინეთი)	1:0	სკალა (ფარერები) (2:0)
ზლინი (ჩეხეთი)	0:0	ნემანი (ბელარუსი) (1:0)

მეორე ეტაპი

ლომბარდ-პაპა (უნგრეთი)	—	გიოტებორგი (შვედეთი)
დეპორტივო (ესპანეთი)	—	ბუდუჩნოსტი (სერბეთი)
სენტ ეტიენი (საფრანგეთი)	—	ქსამაქსი (შვეიცარია)
ლოკერენი (ბელგია)	—	იანგ ბოისი (შვეიცარია)
ვოლფსბურგი (გერმანია)	—	შტურმი (ავსტრია)
ტამპერე (ფინეთი)	—	შარლერუა (ბელგია)
ლიბერეცი (ჩეხეთი)	—	ბეითარი (ისრაელი)
ლანსი (საფრანგეთი)	—	ლეხი (პოლონეთი)
კლუჟი (რუმინეთი)	—	ბილბაო (ესპანეთი)
სიგმა (ჩეხეთი)	—	პოგონი (პოლონეთი)
ჰამბურგი (გერმანია)	—	პობედა (მაკედონია)
ანკარა (თურქეთი)	—	დუბნიცა (სლოვაკეთი)
სლავენი (ხორვატია)	—	გლორია (რუმინეთი)
ვარტექსი (ხორვატია)	—	ინტერი (ფინეთი)
გენტი (ბელგია)	—	ზლინი (ჩეხეთი)
ჟალგირისი (ლიტვა)	—	დინაბურგი (ლატვია)

პირველი მატჩები გაიმართება 2-3 ივლისს, საპასუხოები — 9-10 ივლისს

იტალია

სერია ბ. პლეი ოუტი. საპასუხო მატჩი

ვიჩენცა 0:2 ტრიესტინა (0:2)

თარსი თასი

გაზაევმა როსტოვი გადააგდო

რუსეთი

პრემიერლიგა. XIII ტური

სპარტაკი 1:1 შინიკი

1:0 ვიდიჩი (93), 1:1 ხაზოვი (79)

მოსკოვი 1:1 ტორპედო

1:0 კირიჩენკო (46), 1:1 სემშოვი (90)

როსტოვი 0:2 ცსკა

0:1, 0:2 ოლიჩი (53ბ, 62ბ)

ალანია 1:0 ტერეკი

1:0 ჯ. ბაზაევი (53)

ალანია: რადიჩი, ფუზაილოვი (ოკორონკვო 75), აგაევი, პაგაევი (ბურდული 46), შაშიაშვილი, ჯ. ბაზაევი, გრუიჩი, დარასელია, გ. ბაზაევი, გოგნიევი, კ. ტუდორი (დადუ 46)

რუბინი 1:0 ზენიტი

1:0 სკოტი (90)

რუბინი: ხარჩიკი, ფიოდოროვი, კბილისტო, სკოტი, სალუძვაძე, კონოვალოვი, აიუპოვი, ასტაფიევი, სილა, დომინგესი (რალფი 64), ჩიტეკი

ამკარი 1:1 კრილია

1:0 ზიატი (70), 1:1 გუსინი (78)

დინამო 0:0 ტომი

სატურნი 0:0 ლოკომოტივი

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ასათიანი, ევსეევი, სენიკოვი, ომელიანჩუკი, გურენკო, მამინოვი, ლოსკოვი (ბუგაევი 90), ხოხლოვი, სიჩოვი, ლებედენკო (პარკხი 60)

კავკასიური დერბი ვლადიკავკაზის „ალანიამ" მოიგო და გროზნოს „ტერეკს" ცხრილში ბოლო ადგილი გაუცვალა. უსაფრთხოების მიზნით სტადიონზე 2000 პოლიციელი იმყოფებოდა და მატჩს ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრიც კი დაესწრო.

სტუმრებმა პირველი ტაიმის მიწურულს ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შექმნეს. წინ გამოსულ ალანიელ მეკარეს ბურთი თავზე გადაევლო და ალან აგაევმა მას კარის ხაზზე მიუსწრო. თავის მხრივ, მასპინძელთაგან ტუდორს და პაგაევს შეეძლოთ, გაეტანათ, მაგრამ საკმაოდ ახლო მანძილიდან ვერ ივარგეს.

შესვენების შემდეგ „ალანია" უკეთ ათამაშდა და ჯამბულატ ბაზაევის გოლით იმარჯვა. ბაზაევმა დაახლოებით 30 მეტრიდან დაჰკრა, ტერეკელი მცველისგან გეზნაცვალი ბურთი კი ნიგმატულინის კარში აღმოჩნდა.

იაროსლავლის „შინიკმა" ზედიზედ მეორე ქულა აიღო მოსკოვურ გუნდებთან — ჯერ შინ ცსკას დაუზაედა, ამჯერად კი სტუმრად „სპარტაკთან" იყოჩაღა და ფრე გაახერხა, თუმც სპარტაკელები მეათე წუთიდან კაცნაკლულნი დარჩნენ: მოსკოველთა ავსტრიელმა ლეგიონერმა ემანუელ პოგატეცმა „შინიკის" დებიუტანტ ხარიტონსკის მუხლში ქაცვები ჩასცხო, რის გამოც მსაჯმა გააძევა. მანამდე „სპარტაკი" ვიდიჩის საეჭვო პენალტით დაწინაურდა.

ათკაცა მასპინძლები მაინც უკეთ თამაშობდნენ, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეს. სამაგიეროდ, ვიდიჩმა პოგატეცობა იკისრა და პირველივე ტაიმში მეტოქე კორჩაგინს იდაყვით თავი გაუტეხა. სტუმრებმა შესვენების შემდეგ, ნაკუთხურალზე იხვირეს. „შინიკის" ფორვარდმა ანტონ ხაზოვმა დასწრებაზე ითამაშა და ახლოდან ანგარიში გაათანაბრა.

ნამატჩევს „სპარტაკის" მწვრთნელმა ალექსანდრს სტარკოვსმა განაცხადა: „ვიდეოფირზე ვნახეთ, რომ პოგატეცს შეგნებულად არ ჩაურტყამს ხარიტონსკისთვის", ხოლო ხაზოვმა ავსტრიელზე თქვა, ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე გასახდელიდან რომ გამოვდიოდით, მაშინვე იბღინძებოდაო.

მოსკოვის ცსკა-მ მაჩანჩალა „როსტოვს" ივიცა ოლიჩის წყვილი პენალტით სძლია. ვალერი გაზაევი სრულიად რუსეთს შეჰპირდა, სადაც ჩავალთ, უეფას თასს ყველგან ჩავიტანთო, მაგრამ როსტოველი ქომაგები ხახამშრალი დატოვა. ცსკას მწვრთნელმა ეს ასე ახსნა: „ყაზანში, „რუბინთან" და იაროსლავლში, „შინიკთან" უეფას თასი რომ ჩავიტანეთ, ერთი მატჩიც ვერ მოვიგეთ და ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ თასს აღარსად წავიღებთ".

მაჟა ხუციშვილი

ლოკომოტივი	15	8	7	0	20:3	31
სპარტაკი	13	7	3	3	24:13	24
რუბინი	13	6	4	3	16:14	22
ცსკა	11	6	3	2	18:5	21
მოსკოვი	12	5	5	2	13:6	20
ზენიტი	14	5	5	4	19:14	20
დინამო	13	6	1	6	14:20	19
კრილია	14	4	6	4	13:16	18
ტორპედო	12	4	4	4	14:10	16
შინიკი	13	3	7	3	10:11	16
სატურნი	13	4	3	6	9:9	15
ამკარი	13	2	8	3	10:14	14
ალანია	13	3	3	7	9:21	12
ტომი	13	2	5	6	8:15	11
ტერეკი	13	2	3	8	8:20	9
როსტოვი	13	2	3	8	7:21	9

სპარტაკი — შინიკი. მასპინძელი ემანუელ პოგატეცი (მარჯვნივ) უხეშობისთვის გააძევეს

მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

ვოლანდია: 10 ივნისი — 2 ივლისი

AFP კორესპონდენტი

მსოფლიოს ჩემპიონატი მასპინძელი ჰოლანდიის გარეშე დარჩა

ოცდაერთი გოლი კერკრადეში

მეოთხედფინალი

მაროკო 2:2 დ.დ.(პენ.4:2, 1:1) იტალია
გერმანია 1:2 დ.დ.(1:1) ბრაზილია
ნიგერია 1:1 დ.დ.(პენ.10:9, 1:1) ჰოლანდია
არგენტინა 3:1 ესპანეთი

„მსგავსი რამ არასდროს მინახავს" — თქვა ჰოლანდიელთა გაოცებულმა მწვრთნელმა ჰოპე დე ჰაანმა, ნიგერიასთან პენალტების სერიაში მარცხის შემდეგ.

კერკრადეში გამართული ნახევარფინალური მატჩი მართლაც განსაკუთრებული გამოდგა. აფრიკელთა თავკაცი სამსონ სიასია ტურნირის დაწყების დღიდან ჩიოდა, გუნდმა ნორმალური შეკრება ვერ გაიარა, აქ რას უნდა მივაღწიოთო. მერე ნიგერია მერვედფინალში გაძვრა და უკრაინას მოუგო. სიასიამ განაცხადა, ამაზე ვერც კი ვიოცნებებდიო. მან ჰოლანდიელთა დამარცხების შემდეგაც იგივე გაიმეორა. ახლა კი „სუპერმართველებს" ფინალამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებთ. ასეა, თითქოს მოუმზადებელი ნიგერიის ნაკრები ჩემპიონატის ნახევარფინალში აღმოჩნდა.

კერკრადეში, „პარკსტად ლიმბურგზე" ხალხმა დასხდომა ვერ მოასწრო, რომ ანგარიში გაიხსნა — სალომონ ოკორონკვომ პრიმის ისაკი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ისაკი კენეტ ვერმეერს გასცდა და კარში დაარტყა, მაგრამ ჰოლანდიელთა კაპიტანმა მადურომ ბურთი კარის ხაზიდან გამოაძევა. გამოგორებულს კი ჯონ ოვოერი დაუხვდა და ცარიელ კარში გაიტანა.

პირველ წუთზევე გაშვებულმა გოლმა მასპინძლებს ხასიათი წაუხდინა და ოდნავ არია კიდეც, თუმც „ნარინჯისფერები" ნელ-ნელა დალაგდნენ. შესვენებამდე გამოსარჩევი არაფერი მომხდარა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი რონ ვლაარმა თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. არც ამ გოლს მოჰყოლია ჰოლანდიელთა გააქტიურება. გუნდები ფრთხილობდნენ და საქმე პენალტებამდე მივიდა, რომელიც კერკრადეს სტადიონზე შეკრებილთ ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ.

სერია ჰოლანდიელმა კოლინზ ჯონმა დაიწყო და ამბრუს ვანზეკენს გაუტანა. ნიგერიელთაგან ტაი ტიავუმ იყოჩაღა და — 1:1.

ამის შემდეგ გუნდებმა კიდევ ორ-ორი პენალტი გაიტანეს. რიგით მეოთხე თერთმეტმეტრიანი დარტყმა მასპინძელ კრუისს ვანზეკენმა აუღო, ხოლო საპასუხოდ კენეტ ვერმეერმა გიფტ ატულეკას დარტყმა მოიგერია. მერე ჰოლანდიელთაგან მადურომ გაიტანა, ნიგერიელთაგან კი პრომის ისაკმა.

პენალტების სერია მეორე წრეზე წავიდა და გუნდებმა ხუთ-ხუთი შეუცდომლად შეასრულეს, მათ შორის, მეკარეებმაც კი გაუტანეს ერთმანეთს. ბოლოს ვინც დაიწყო, იმან დაასრულა — კოლინზ ჯონის დარტყმა ვანზეკენმა მოიგერია, ტაი ტიავუმ კი ივარგა და ნიგერია ასე გაიყვანა ნახევარფინალში.

მაროკოსა და იტალიის მატჩში ფეხბურთელებმა ერთმანეთი სამტვრევად გაიმეტეს. კორელმა მსაჯმა ყვითელი ბარათი 13-ჯერ ამოიღო ჯიბიდან, 99-ე წუთზე კი მიკელე ჯანინი გააძევა, რომელმაც ძირითადი დროის მეორე ტაიმში ანგარიში გაათანაბრა და მატჩს კიდევ ნახევარი საათი დაუმატეს.

მაროკოელები ნაბილ ელ ზარის წყალობით პირველ ტაიმში დაწინაურდნენ, ჯანინის საპასუხო გოლის შემდეგ კი იტალიელები უკეთ ათამაშდნენ, მაგრამ რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს. ძირითადი დროის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე პაოლო ბერეტინიმ ანდრეა კოდა ფრანჩესკო ბატალიათი შეცვალა. ბატალიას აშკარად არ გაუმართლა, რადგან 93-ე წუთზე მისი თავიდან ასხლეტილი ბურთი იტალიელთა კარში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, გრაციანო პელემ მაინც მოახერხა გაქვითვა, მაგრამ „სკუადრა აძურა" პენალტების სერიაში მაინც დამარცხდა — დანიელე ჯალოკანა და კრისტიან ანჯელის მარიკოელმა მეკარე ბურკადიმ არ გაატანინა, არაბებმა კი ხუთი თერთმეტმეტრიანიდან ოთხი შეაგდეს და ნახევარფინალში გასვლით გაიხარეს.

გერმანიისა და ბრაზილიის შეხვედრაშიც დამატებით დრო დაინიშნა, მაგრამ საქმე პენალტებამდე არ მისულა. მიუხედავად იმისა, რომ აგებდნენ, ბრაზილიელებმა მატჩის სათავისოდ შემობრუნება მაინც შეძლეს. გერმანელები მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ალექსანდრ ჰუბერმა დააწინაურა. სამხრეთამერიკელთა მწვრთნელმა რენე ვებერმა კი მოედანზე მესამე ფორვარდი, დიეგო ტარდელი შეუშვა და მანაც რვა წუთში თავური დარტყმით გაათანაბრა. ბრაზილიელთა გამარჯვების გოლი კი დამატებულ დროში რაფაელმა მიითვალა.

რენე ვებერმა ნამატჩევს განაცხადა: „0:1-ზეც დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდით. ჩვენი უპირატესობა განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდა, როცა გუნდს მესამე ფორვარდი შევაშველე და ვიგრძენი, გოლის გატანას შევძლებდით".

არგენტინას ესპანეთის დასამარცხებლად ზედმეტი ნახევარი საათი არ დასჭირვებია, რადგან ლეო მესი ჰყავს. მეტოქეებმა შესვენებამდე თითო გოლი გაცვალეს, მეორე ტაიმში კი მესიმ იყოჩაღა: ორ წუთში ერთი საგოლე პასი გააკეთა და ერთიც თავად გაიტანა.

არგენტინელთა მწვრთნელმა ფრანსისკო ფერერამ ნამატჩევს განაცხადა: „გამარჯვებას კულოცავ ჩემს ფეხბურთელებს. მათ ხომ მეორე ტაიმს ბოლო თხუთმეტი წუთის განმავლობაში ბრწყინვალედ ითამაშეს".

მაჟა ხუციშვილი

ნახევარფინალი: 28 ივნისი
ბრაზილია — არგენტინა
მაროკო — ნიგერია

ფიფას კონფედერაციის თასი 2005
გერმანია. 15–29 ივნისი

ნახევარფინალი
გერმანიას ტაში, ბრაზილიას ფინალი

ზე რობერტომ თანაგუნდელ როკე ჟუნიორს კინაღამ თავი წააცალა

AFP ნიურნბერგიდან

გერმანია 2:3 ბრაზილია

0:1 ადრიანო (21), 1:1 პოდოლსკი (23), 1:2 რონალდინიო (43პ), 2:2 ბალაკი (48პ), 2:3 ადრიანო (76)

გერმანია: ლემანი, ფრიდრიხი, მერტესაკერი, ჰუთი, ერნსტი (ბოროვსკი 87), დაისლერი (ჰანკე 83), ფრინგსი, ბალაკი, შნაიდერი, კურანი (ასამოა 63), პოდოლსკი

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

ბრაზილია: დიდა, მაიკონი (სისინიო 46), ლუსიო, როკე ჟუნიორი, ჟილბერტო, კაკა (რენატო 78), ემერსონი, ზე რობერტო, რონალდინიო, ადრიანო, რობინიო (ჟულიო ბაპტისტა 87)

მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა

გაფრთხილება: როკე ჟუნიორი, დაისლერი, სისინიო, ემერსონი, ადრიანო, ერნსტი

მსაჯი: კარლოს ჩანდია (ჩილე)

42 000 მაყურებელი

ნიურნბერგის „ფრანკენშტადიონზე“ შეკრებილმა 42 ათასმა გერმანელმა ტაშით გააცილა ბუნდესსაკრები. მიუხედავად ბრაზილიასთან ნახევარფინალში დამარცხებისა, ქომაგები, პრესა და სპეციალისტები კმაყოფილნი დარჩნენ იურგენ კლინსმანის გუნდის თამაშით.

„ჩვენ შემტევი ფეხბურთი ვაჩვენეთ, ბიჭებმა გასამარჯვებლად ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ ბრაზილია მსოფლიოს საუკეთესო გუნდია. წავაგეთ, თუმც ჩემს მოთამაშეებზე აუგი არ მეთქმის. დღეს საუკეთესოდ კითამაშეთ“ — ამბობდა ნამატჩევს ჰერ კლინსმანი.

ძნელია არ დაეთანხმო ბუნდესმწვრთნელს. შეტევაზე ასე დაგეშილი გერმანიის ნაკრები, ვინძლო, ვერც გავიხსენოთ. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს კლინსმანმა ხისტი და მოძრავი ნახევარდაცვა დაუპირისპირა. თუ ტორსტენ ფრინგსს ბრაზილიელთა შეტევების ჩაშლა ევალებოდა, სამაგიეროდ, მიხაელ ბალაკი და სებასტიან დაისლერი ფორვარდების — ლუკაშ პოდოლსკისა და კევინ კურანის — პასებით მომარაგებას ეშურებოდნენ. ამიტომაც იყო, მატჩის საწყის წუთებში ბურთის უმეტესად გერმანელები რომ ფლობდნენ და ბალაკმა ორჯერ დიდასკენ კარისკენაც გაისროლა.

ბრაზილიელებმა მასპინძელთა ასეთ მოძალებას გაუძლეს და ხშირ-ხშირად სტუმრობდნენ იენს ლემანის საჯარიმოს. მოუსვენარი და საოცრად ტექნიკური რობინიოსა და ბრგე ადრიანოს შეჩერება სულ უფრო უჭირდათ გერმანელ მცველებს, რონალდინიო და კაკაც ათამაშდნენ და მალე პენტაკამპეონებს დაწინაურებაც შეეძლოთ. რონალდინიოს საჯარიმოდან დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა ლემანის კარს.

21-ე წუთზე გერმანელებს მაინც მოუწიათ თამაშის ცენტრიდან დაწყება — რობინიოს წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმოს დარტყმა ამჯერად ადრიანომ ითავა და 35 მეტრიდან ისეთი დააქუხა, ლამის კარის ბადე გახია. გერმანელთა საპასუხო გოლს არ დაუგვიანია. თამაშის განახლებისთანავე ფლანგიდან შნაიდერის მიერ ჩაწოდებული ბურთი დიდამ კუთხურზე მოიგერია, ნაკუთხურალ ბურთს კი ლუკაშ პოდოლსკიმ უთავაზა და 1:1.

ამის მერე ორივე გუნდს შეეძლო დაწინაურება, მაგრამ სანამ საქმეში ჩილელი არბიტრი კარლოს ჩანდია არ ჩაერია, ვერც ერთმა გაიტანა და ვერც მეორემ. ჩანდიას, როგორც ჩანს, ძალიან მოსწონს უცნაური პენალტების დანიშვნით ხალხის გაკვირვება. ჯერ იყო და, 43-ე წუთზე ადრიანოსთან ძიძგილაობაში რობერტ ჰუთი დაჯარიმა და რონალდინიომაც ლემანს შანსი არ დაუტოვა. მერე კი, როცა პირველი ტაიმის დასრულებას აღარაფერი უკლდა, ბრაზილიელთა საჯარიმოში ბურთისთვის მებრძოლ ემერსონსა და ბალაკს შორის პირველი დაადანაშაულა და კვლავ თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ მიუთითა. არც ბალაკს აკანკალებია ფეხი და პირველი ნახევარიც ფრედ, 2:2 დასრულდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში უკეთ პენტაკამპეონები გამოიყურებოდნენ. კარლოს ალბერტო პარეირამ მაიკონის ნაცვლად სისინიო შეუშვა. „სან პაულუს“ მცველი დაცვაშიც რიგიანად გაისარჯა და შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა, ადრიანო-რობინიოს წყვილმა კი იმდენი საქმე გაუჩინა გერმანელ მცველებს, რომ მათ წინ წასვლა აღარც უფიქრიათ. სწორედ ამ ორი ფორვარდის აქტიურმა და ეფექტურმა თამაშმა ახეირა ბრაზილიელები: 72-ე წუთზე რობინიოსგან ასხლეტილ ბურთს ადრიანო დაეუფლა, ჰუთს ჩაუდრიბლინგა და მოსხლეტილი, დაბალი დარტყმით ლემანის კარში შეასრიალა. ფინალზე მეოცნებე იურგენ კლინსმანმა თამაშის გადასარჩენად ჯერ ალამოასა და მაიკ ჰანკეს უხმო, მაგრამ ნაციონალმანშაფტმა ანგარიშს მესამედ გათანაბრება ვეღარ მოახერხა. ეგ კი არა, ბრაზილიელებს, კერძოდ, რობინიოსა და სისინიოს რომ ევარგათ, შეტევაში გართულ გერმანელებს მეოთხედაც გაუტანდნენ.

„ჩვენ კიდევ არ ვართ მზად მსოფლიო ფეხბურთის გრანდების დასამარცხებლად, ბრაზილიამ უმაღლესი კლასის ხარჯზე გვაჯობა. თუმც, დარწმუნებული ვარ, გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატამდე ისე მოუმატებს, რომ ბრაზილიისა და არგენტინის დამარცხება არ გაუჭირდება“ — იმედიანად უცქერს მომავალს ბუნდესკაპიტანი მიხაელ ბალაკი.

გერმანულმა პრესამ კი ნამატჩევს კიდევ ერთხელ გაიხსენა, რომ ნაციონალმანშაფტს ბრაზილიის ნაკრებისთვის 1993 წლის მერე ვერ მოუგია.

სოსო კოტორაშვილი

ამას რად უნდოდა ფრანკფურტი?!
პეკერმანმა ლავოლპეს ბრაზილია არ დაანება

მექსიკა 1(2:2,5:6, 0:0) არგენტინა

1:0 სალკიდო (104), 1:1 ფიგეროა (110)

მექსიკა: ო. სანჩესი, ოსორიო, მარკესი, რ. მორალესი (ა. მედინა 72), ვ. მენდესი, ლოსანო (ლ. პერესი 56), ზ. პინედა, პარდო, სალკიდო, ზინია (ტორადო 94), ბორგეტი

მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე

არგენტინა: ლუქსი, კოლოჩინი, გ. მილიტო (მაქსი როდრიგესი 66), სორინი, ძანეტი, კამბიასო, სანტანა (აიმარი 76), ჰაინცე, რიკელმე, სავიოლა, ფიგეროა (გალეტი 116)

მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი

გაფრთხილება: მილიტო, მარკესი, მარკესი, პინედა, კოლოჩინი, მედინა, სალკიდო

გაძევება: სავიოლა (90), მარკესი (90)

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

40 000 მაყურებელი

რაღა კონფედერაციათა თასისა და რაღა კოპა ამერიკას ფინალი — იღბალმა და არგენტინელთა მეკარე ხერმან ლუქსმა ინებეს, რომ 29 ივნისს ფრანკფურტში ფიფას მოგონილი ამ თასისთვის ორი სამხრეთელი ბობოლა, ბრაზილია და არგენტინა დაჯახებოდნენ ერთმანეთს.

გუშინდელმა ნახევარფინალურმა მატჩმა, ალბათ, ფეხბურთის გურმანები გვარიანად დააძღო, ფავორიტად შერაცხულ ხოსე პეკერმანის გაუჩოებს თვისტომ რიკარდო ლავოლპეს მექსიკელებმა ისე ეომეს, მათი ფინალში ვერგასვლას, ვინძლო, ბევრისთვის დაეწყვიტა გული.

უგოლო და ათკაკად დარჩენილი 90 წუთის მერე, დამატებით ტაიმებში ლათინოსები ისე შმაგად შეებნენ ერთურთს, რომ თვალსასეირო თამაში უფრო და უფრო დრამატულ ფერებს იძენდა. პირველი დამატებითი ტაიმის დასრულებას აღარაფერი უკლდა, როცა არგენტინელთა იერიშს მექსიკელებმა კონტრშეტევით უპასუხეს, მარცხენა მცველმა სალკიდომ ორი გაუჩო მოატყუა და საჯარიმოში შერბენილმა დარტყმა არ დაახანა, ბურთი კოლოჩინის მოხვდა და ლუქსის კარში შევარდა. მეორე დამატებითი ნახევარი დაიწყო და დაიწყო არგენტინელთა შტურმიც. პეკერმანის ფავორიტ ფიგეროას უმალ შეეძლო გათანაბრება, მაგრამ კარის წინ დარჩენილმა ისე უგერგილოდ დაარტყა, რომ ბურთი ოსვალდო სანჩესის ლუკმა გახდა. თუმც რამდენიმე წუთში სწორედ ფიგეროამ გაიტანა გამთანაბრებელი გოლი და საქმე პენალტების სერიამდე მიდგა. გუნდებმა ხუთ-ხუთი დარტყმა ისე ზუსტად შეასრულეს, კაცი იფიქრებდა, ამ სერიას დასასრული არ უწერიაო, მაგრამ მეექვსე ჯერზე მექსიკელ ოსორიოს ლუქსმა არ გაატანინა, ესტებან კამბიასომ კი სანჩესს შანსი არ დაუტოვა და არგენტინა ფინალში გაიყვანა.

სოსო კოტორაშვილი

მატჩი მესამე ადგილისთვის. 29 ივნისი

გერმანია — მექსიკა

ფინალი. 29 ივნისი

ბრაზილია — არგენტინა



არგენტინელებმა მექსიკელები მხოლოდ პენალტების სერიაში დაჯაბნეს

AFP ჰანოვერიდან

ფიფას კონფედერაციის თასი
ისტორია 1992–2005. ნაწილი პირველი
პირველად იყო არგენტინა...

Saudi Arabia '92

გაბრიელ ბატისტუტა კონფედერაციის თასის პირველი ბომბარდირია

ასე და ამგვარად, კონფედერაციის თასის მეხუთე გათამაშება მთავრდება — ოთხშაბათს, 29 ივნისს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში შეჯიბრებას წერტილი დაესმება. აქვე უნდა ითქვას, რომ ფიფა ნელ-ნელა მიზანს აღწევს და ტურნირს მეტად და მეტად საინტერესოს ხდის, რისი დასტურიც მიმდინარე ამბების გარდა, მათი ძველთან შედარებაა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, გაგვეხსენებინა კონფედერაციის თასის ადრინდელი გათამაშებები: დღეს საუდის არაბეთში გამართულ პირველ სამ შეჯიბრებას მოგაგონებთ, დანარჩენი ორის ამბავი კი ხვალ ვთქვათ

მეფე ფაჰდი

თავდაპირველად, შეჯიბრებას მასპინძელი ქვეყნის მონარქის საპატივცემულოდ მეფე ფაჰდის თასი დაარქვეს და მასში მონაწილეობისთვის მასპინძელთა გარდა სამი ნაკრები მიიწვიეს: არგენტინა, აშშ და კოტ დივუარი. მაშინდელი დებულების თანახმად, გუნდები იმთავითვე ნახევარფინალურ წყვილებად დალაგდნენ. არგენტინელები კოტ დივუარს შეხვდნენ, ხოლო ამერიკელები მასპინძლებს. გამარჯვებულები ოთხი დღის მერე შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში, დამარცხებულებმა კი მესამე ადგილის ამბავი გაარკვიეს.

აშშ-ის ნაკრებს მაშინ სათავეში ცნობილი ბორა მილუტინოვიჩი ედგა, რომლის ხელქვეითაც იყვნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც გახლდნენ ტონი მეოლა, მარსელო ბალბოა და ტაბარე რამოსი. მიუხედავად ამისა, ამერიკელები საუდელებთან 0:3 დამარცხდნენ, ხოლო მესამე ადგილისთვის სპილოს ძვლის ნაპირელებს მოუგეს 5:2.

ჩემპიონი

არგენტინამ 1992 წლის კონფედერაციის თასი 1993 წლის კოპა ამერიკისთვის და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოიყენა. შეგახსენებთ, 93-ის კოპა ამერიკა ეკვადორში, 1994 წლის მუნდიალი კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა. არგენტინის ნაკრების მწვრთნელი გახლდათ ალფრედ ბაზილე, რომლის განკარგულებაშიც მრავლად იყვნენ უნიჭიერესი ფეხბურთელები, მაგალითად, სერხიო გოიკოეჩეა, ოსკარ რუჯერი, ფერნანდო რედონდო, ლეონარდო როდრიგესი, დიეგო სიმეონე, კლაუდიო კანიჯა და გაბრიელ ბატისტუტა.

პირველი მატჩი არგენტინელებს სპილოს ძვლის ნაპირის (იგივე კოტ დივუარი) ნაკრებთან ჰქონდათ და მისი ბედი, არც მეტი, არც ნაკლები, ათ წუთში გაირკვა, როდესაც ბატისტუტამ ორი გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში ორიც რიკარდო ალტამირანომ და ალბერტო აკოსტამ შეაგდეს. როგორც ამბობენ, სამხრეთამერიკელებს იმ თამაშში გაზისთვის ფეხი ბოლომდე რომ მიეჭირათ, ანგარიში შესაძლოა, კოტ დივუარელებისთვის შეურაცხმყოფელიც ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა.

ამის შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატის ორი წლის წინანდელმა ფინალისტმა 3:1 დაამარცხა ტურნირის მასპინძელი საუდის არაბეთის ნაკრები და თასის მფლობელიც გახდა. გოლები როდრიგესმა, კანიჯამ და სიმეონემ გაიტანეს.

კონფედერაციის პირველ თასზე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ყველა შეხვედრა ერ რიადში გაიმართა, ხოლო ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები ორ-ორი გოლით გახდნენ ბატისტუტა და ამერიკელი ბრიუს მიურეი.

შეჯიბრებას სულ 169 500 მაყურებელი დაესწრო.

Saudi Arabia '95

ცუდები და ჯარგი

კონფედერაციის თასის მეორე გათამაშებაში ერთი ნამდვილად კარგი და ხუთი ცუდი გუნდი მონაწილეობდა, ანუ პირველ გათამაშებასთან შედარებით გუნდების რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა. დანიელ პასარელას არგენტინა თამაშის რიტმს საერთოდ ვერ პოულობდა. მან ერთი შეხვედრა მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ერთიც, ფინალური წააგო.

იაპონიამ რვა გოლის გაშვება მოახერხა. ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა ორი თამაში წააგეს და თავდახრილები გაემართნენ შინისკენ.

მასპინძლები, საუდელი არაბები, თუ ვინმემ შეაქო, მხოლოდ იმიტომ, რომ მასპინძლები ბრძანდებოდნენ. აი, მექსიკა კი, ცუდების ბრიგადიდან, ალბათ ერთადერთი იყო, რომელსაც შეეძლო მაინცდამაინც არ შერცხვენოდა — მექსიკელებმა მესამე ადგილისთვის მატჩი პენალტებით მოუგეს ნიგერიელებს, რომლებიც ასევე ვერ დაიკვეხნიდნენ კარგი თამაშით.

ჩემპიონი

ხოლო ჩემპიონი გახდა ის, ვისზედაც იმთავითვე ამბობდნენ, რომ ჩემპიონი გახდებოდა — დანია. ევროპელებს ჭაკადთ მიქაელ და ბრაიან ლაუდრუპები, რომელთაც მხარს უმშვენებდნენ ბიორნ კრისტენსენი, მარკ სტრუდალი, პეტერ რასმუსენი და მსგავსი კალიბრის ფეხბურთელები. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ ერ რიადის სიცხემ ყველაზე მეტად, ალბათ სწორედ ჩრდილოელების თამაში შეზღუდა და მაინც, ყველაფერი ისე დალაგდა, როგორაც უნდა დალაგებულიყო.

რიქარდ მიოლერ-ნილსენის გუნდმა პირველ შეხვედრაში 2:0 მოუგო მასპინძლებს, რომელთაც აბსოლუტურად ყველა რგოლსა და კომპონენტში აჯობა. ამის შემდეგ, სკანდინავიელები შეხვდნენ მექსიკას, რომელმაც ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გაუწია კიდეც — მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1, მაგრამ პენალტების სერიაში მაინც დანიელებმა იმძლავრეს.

და ბოლოს იყო ფინალი არგენტინასთან. არგენტინის ამ გუნდში თამაშობდნენ რობერტო აიალა, ხავიერ ძანეტი, არიელ ორტეგა და მათი თაობისა და ზომის ვარსკვლავები, რომელთაც მიქაელ ლაუდრუპის პენალტისა და პეტერ რასმუსენის გოლის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. შესაბამისად, კონფედერაციის მეორე თასს დანიელები დაეუფლნენ. შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა მექსიკელი ლუის გარსია, ტურნირს კი მთლიანად 110 ათასი მაყურებელი დაესწრო.

Saudi Arabia '97

აორთქლებულნი

მესამე გათამაშების სახელგანოცხადებულში გასული ოთხიდან ორი გუნდი სამხრეთ ამერიკისა გახლდათ — ბრაზილია და ურუგვაი. ვერცხლიდან ამ ეტაპამდე მხოლოდ ჩეხეთმა გადაწია და მანაც საბოლოოდ ოდენ მესამე ადგილი მოიპოვა, ავსტრალიამ კი ნახევარფინალის თავისი ეშხი შემატა, ოღონდ იქ ძლევამოსილ ბრაზილიასთან ვერაფერს გახდა.

მაგრამ, თუ საფეხბურთო სახელგადოება იმ წელიწადს ვინმემ გაკვირვა, ეს უდავოდ ურუგვაი გახლდათ, რომელსაც რავინდარა შეკვიდრების ოთხეულში, ნამდვილად არაფერ ელოდა. დიახ, ურუგვაელები საერთაშორისო საფეხბურთო სკენიდან კიდევ ხნის აორთქლებულნი გახლდნენ, ხოლო კონკრეტულად 1997 წლის ბოლო ნაწილობრივ საერთაშორისო ფეხბურთიდან ახალმოსულნი ძალიან ეგზისგან შედგებოდა და ეს ძალიან უნდობლობას კიდევ უფრო აძლიერებდა. ურუგვაელი გვარსახელოვანი ნიკოლას ოლივერა, მარსელო ბიელსა ეტა და ვალტერ კულეი, ალბათ ფერს ეუბნებოდა, მიუხედავად ამისა, რომ ეს ბიჭები რამდენიმე ოფიციალურ მალიზაციაში ახალგაზრდულ ძალებალზე მეორენი იყვნენ. ურუგვაის ნაკრების „დიდი" ფეხბურთელები კი გახლდნენ ჰაილო მოდესტერი, დანიელ ალა და ალვარო რეკობა.

ნახევარფინალისკენ გზაზე, ურუგვაიმ მოუგო საამირიელს, ჩეხეთს და სამხრეთ აფრიკას.

ჩემპიონი

ჩემპიონი კი გახდა ბრაზილია, რადგან ვერავინ შეაჩერებდა ამ ფეხბურთელებს, როგორებიც იყვნენ და არიან დიდა, კაფუ, რობერტო კარლოსი, დუნგა, დენილსონი (ამ შეჯიბრების საუკეთესო ფეხბურთელი), რონალდო და რომარიო. თან აშკარა იყო, რომ ბუნებრივ ხიბლს უდაბნოს მზისადმი სხვებზე მცირე ამტანობა ემატებოდა. მერედა, მარიო ზაგალოს მოფიქრებული ჰქონდა ისეთი 4-4-2 სისტემა, რომელიც ორ საყრდენ ნახევარმცველს, ასე ვთქვათ, გუნდის ძხიდი კელის ფუნქციას აკისრებდა, დანარჩენებს კი შეტევისა და ლაღობისთვის უხსნიდა ხელ-ფეხს.

ბრაზილიელებმა თავიდან 3:0 მოუგეს მასპინძლებს, მერე ყველასთვის გასაოცარი 0:0 ითამაშეს სიკერუსთან ანუ ავსტრალიასთან და 3:2 იმარჯვეს მექსიკელებთან. ამის შემდეგ, ნახევარფინალში, ფაქტობრივად, ცალკარა ითამაშეს ჩეხებთან (2:0), ხოლო ფინალში ისევ ავსტრალიას 6:0 მოუგეს.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა რომარიო — 7 გოლით, ხოლო მთლიანად, შეჯიბრებამ ტრიბუნებზე შეკრიბა 293 500 მაყურებელი.

პაპუნა კედია

გეპატიჟებათ



ახლად გახსნილი საბილიარდო კლუბი „ბილ-ბარ"-ი, სადაც შემოგთავაზებენ ექსკლუზიურ მენიუს და შესაძლებლობა გექნებათ 7მ. დიაგონალის ეკრანზე იხილოთ მუსიკალური ვიდეორგოლები და გამორჩეული სპორტული სანახაობები.

29 ივნისს, 22.45 საათზე შედგება ჯონფედერაციის თასის ფინალის ტრანსლაცია. დასწრების მსურველები დაგვიჯავშირდით:

მისამართი: ბარნოვის 49/თარხნიშვილის 29 (ჩინეთის საელჩოსთან); ტელეფონი: 899 555-233

სარბიელი & კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოგით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		27 ივნისი						
21:00	9	რუსენბორგი-ვოლერენგა	1.85	3.40	3.90	1.19	1.25	1.81
21:00	10	ვიკინგი-ტრომსიო	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
		შვედეთი. ალსვენსკა						
		27 ივნისი						
21:00	26	კალმარი-იორგრიტე	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
21:00	27	ლიანდსკრონა-იურგორდენი	3.00	3.40	2.05	1.59	1.21	1.27
21:00	28	მალმიო-ჰეკენი	1.65	3.60	4.50	1.13	1.20	2.00
		28 ივნისი						
21:00	29	ჰელსინგბორგი-სუნდსვალი	1.65	3.60	4.50	1.13	1.20	2.00
		29 ივნისი						
22:00	30	ეიოტებორგი-ჰალმსტადი	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
		შვედეთი						
		სუპერეტა						
		27 ივნისი						
21:00	36	აიკ-იოსტერსი	1.55	3.70	5.00	1.09	1.18	2.12
21:00	37	ნორჩიოპინგი-ყაის	2.25	3.30	2.65	1.33	1.21	1.46
		28 ივნისი						
21:00	38	ბრომაპოიკარნა-იორებრო	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
21:00	39	დეგერფორსი-ვესტეროსი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ისლანდია						
		27 ივნისი						
23:15	60	ვალური-რეიკიავიკი	1.65	3.60	4.20	1.13	1.18	1.93
		ჩოგბურთი უიმბლდონი ქალები						
		27 ივნისი						
15:00	200	დემენტიევა-მისკინა			1.90			1.80
15:00	201	კუზნეცოვა-მალეევა			1.25			3.50
15:00	202	მორესმო-ლიხოვცევა			1.20			4.00
15:00	203	კლიისტერსი-დევენპორტი			1.70			2.10
15:00	204	პეტროვა-პეშკე			1.20			4.00
15:00	205	პერსი-პენეტა			1.45			2.75
15:00	206	შარაპოვა-დეში			1.10			6.00
15:00	215	ვ.უილიამსი-კრეიბასი			1.20			4.30
		ჩოგბურთი უიმბლდონი კაცები						
		27 ივნისი						
15:00	207	ანჩიჩი-ლოპესი ფ			1.35			2.85
15:00	208	ჰიუიტი-დენტი			1.25			3.80
15:00	209	ფედერერი-ფერერო			1.05			8.00
15:00	210	გასკე-ნალბანდიანი			1.50			2.40
15:00	211	გროსუანი-ტურსუნოვი			1.20			3.80
15:00	212	იოჰანსონი ტ-მირნი			1.55			2.20
15:00	213	როდიკი-კორია			1.15			4.50
15:00	214	ვონსალესი-იუენი			1.50			2.40

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ლრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რუსული არმიის იტალიელი გენერალი

ცსკა ეტორე მესინამ ჩაიბარა

მოსკოვის ცსკა-ს ევროლიგის ოთხთა ფინალში ჩაფლავება არ ეპატია მის სერბ მწვრთნელ დუშან ივკოვიჩს და არმიელები ახალი თავკაცის ძებნას შეუდგნენ. რუსები მიდგნენ-მოდგნენ და კვლავ კომპეტენტური და ევროპაში სახელგავარდნილი სპეციალისტი გამონახეს. ეტორე მესინას ყველა იცნობს. იგი ბოლო წლებში იტალიაში მუშაობდა, ახალი სეზონიდან კი მოსკოვში მოუწევს საქმიანობა.

მესინას ცსკა-ში გადასვლის შესახებ ხმები ორიოდ კვირის წინ დაირხა, მაგრამ დრო გადიოდა და რუსული კლუბი კვლავ უთავკაცოდ იყო, გუშინ კი არმიელებმა ოფიციალურად განაცხადეს, მესინასთან შეთანხმებას მივაღწიეთო.

„ჩვენ გვსურს, რუსი კალათბურთელების შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენოთ და მათი პროფესიონალიზმი ავამაღლოთ — თქვა ცსკა-ს მმართველმა სერგეი კუშჩენკომ — ამაში მესინა დიდ დახმარებას გაგვიწევს, ჩვენ გვჯერა ამ მწვრთნელის.“

მესინას ბოლო კლუბი იყო ტრევიზოს „ბენეტონი“, რომელიც მან 2003 წელს იტალიაში აჩემპიონა, ორჯერაც იტალიის თასი მოაგებინა და 2003-შივე გაიყვანა ევროლიგის ფინალში, სადაც „ბარსელონასთან“ დამარცხდა.

უფრო კარგ შედეგებს მესინამ ბოლონიის „კინდერში“ მიაღწია, სადაც ის მთელი 13 წლის განმავლობაში მუშაობდა. მის ხელქვეით „კინდერმა“ ორჯერ მოიგო ევროლიგა, სამჯერ იტალიის ჩემპიონობა და ოთხჯერაც თასი.

ირაკლი პერტაია

Euroleague

ევროლიგამ გუნდები გამოფინა

გუშინწინ ულებ-მა (ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირი) საბოლოო სია გამოაქვეყნა იმ გუნდებისა, რომლებიც მომავალ, 2005-06 წლების სეზონში ევროლიგაში ითამაშებენ.

ულებ-ი, მოგეხსენებათ, კომერციული გაერთიანებაა და ეს ტურნირიც იმიტომ დააფუძნა, რომ მაღალი დონის მატჩებიდან შემოსავალი მიიღოს. ამიტომაც ევროლიგას ევროპის სულ ბობოლ-ბობოლა გუნდებთან აქვს საქმე და ის უმთავრესი კრიტერიუმი, რომლითაც ამ ტურნირში მოხვედრა შეიძლება, კონტრაქტია. ანუ ულებ-ს კონტინენტის წამყვან კლუბებთან ხელშეკრულებები აკავშირებს და მათ ვიზიტიორ შინაურ ჩემპიონატებში ვერ იმარჯვენ, მაინც გარანტირებული აქვთ ევროლიგაში თამაში.

მაგალითად, „პო ორტეზი“ ავიღოთ, რომელიც წელს საფრანგეთის ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ ულებთან კონტრაქტის ძალით კვლავ ევროლიგაში ითამაშებს. ქვემოთ გთავაზობთ მომავალი ევროლიგის ყველა მონაწილეს და იმ სტატუსს, რისი ძალითაც მათ ეს დაიმსახურეს.

გუნდი	ქვეყანა	სტატუსი
ციბონა	ხორვატია	კონტრაქტი
პო ორტეზი	საფრანგეთი	კონტრაქტი
სტრასბური	საფრანგეთი	ეროვნული ჩემპიონი
ბამბერგი	გერმანია	ეროვნული ჩემპიონი
ოლიმპიაკოსი	საბერძნეთი	კონტრაქტი
აეკ	საბერძნეთი	კონტრაქტი
პანათინაიკოსი	საბერძნეთი	ეროვნული ჩემპიონი
მაკაბი	ისრაელი	კონტრაქტი/ეროვნული ჩემპიონი
კლიმამიო	იტალია	კონტრაქტი/ეროვნული ჩემპიონი
ბენეტონი	იტალია	კონტრაქტი
მილანი	იტალია	ეროვნული ვერცხლის პრიზიორი
სიენა	იტალია	რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული
ჟალგირისი	ლიტვა	კონტრაქტი/ეროვნული ჩემპიონი
ლიეტუვოს რიტასი	ლიტვა	ულებ-ის თასის მფლობელი
პროკომი	პოლონეთი	ეროვნული ჩემპიონი
ცსკა	რუსეთი	კონტრაქტი/ეროვნული ჩემპიონი
პარტიზანი	სერბეთი	ეროვნული ჩემპიონი
ოლიმპია	სლოვენია	კონტრაქტი/ეროვნული ჩემპიონი
ბარსელონა	ესპანეთი	კონტრაქტი
რეალი	ესპანეთი	უკონტრაქტოთა შორის საუკეთესო მეპლეიოფე
უნიკახა	ესპანეთი	უკონტრაქტოთა შორის მეორეადგილოსანი
ეფესი	თურქეთი	კონტრაქტი/ეროვნული ჩემპიონი
ულქერი	თურქეთი	კონტრაქტი

კრივის საღამო ატლანტიკ სიტიში

AP ატლანტიკ სიტიდან

არტურ გატიმ ფლოიდ მეივზერ უმცროსის მუშტებს დიდხანს ვერ გაუძლო

ამერიკელმა ფლოიდ მეივზერ უმცროსმა, რომელსაც პროფესიულ რინგზე ჯერ ერთი მარცხიც არ უწვნევია, მორიგი გამარჯვება იზეიმა. შაბათს მან ატლანტიკ სიტის რინგზე WBC ვერსიით საჩემპიონო ბრძოლაში (პირველ ქვესაშუალო წონაში), ტექნიკური ნოკაუტით სძლია კანადელ არტურ გატის.

გატი — მეივზერის ბრძოლას კრივის ბევრი მოყვარული სულმოუთქმელად ელოდა. უწინარეს ყოვლისა ამ ორთაბრძოლაში ყველას ნაღდი ჩხუბის ხილვა სურდა, რაც მაიკ ტაისონისა და კევინ მაკბრაიდის გულშემატკივრებმა უკვე დაივიწყეს.

დიდი ორთაბრძოლის მოლოდინს განაპირობებდა პრესკონფერენციაზე გამართული მათი შეხლა-შემოხლაც. თუმცა მუშტი-კრივამდე მაშინ საქმე აღარ მივიდა. მათი სიტყვიერი დატაკება ჩხუბამდე აღარ მიიყვანეს უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა.

მოკრივეთა აწონვა ყოველგვარი შოუს და სიურპრიზების გარეშე ჩატარდა. ორივე მოკრივე თავიანთი წონითი კატეგორიის (63,5კგ) ლიმიტში პირველსავე ცდაზე ჩაეტია. გატის წონა ზუსტად 63,5 კილოგრამი იყო, მეივზერი კი დაახლოებით ნახევარი კილოგრამით მსუბუქი აღმოჩნდა. აწონვის დამთავრებისთანავე კანადელი უმალ წყალს დაეწაფა.

ატლანტიკ სიტიში გამართული ნამდვილი საკრივო საღამო გახსნა WBO-ს ვერსიით ჩემპიონის ტიტულისთვის ივან კალდერონისა (პუერტო რიკო) და გერარდ ვერდის (მექსიკა) შეხვედრამ.

ამ შეხლაში მაინცდამაინც დაბული ბრძოლა არ გამოვიდა. 12-რაუნდიან პაექრობაში მსაჯებმა გამარჯვება ორჯერ (117:111) და (115:113) ჩემპიონ ვალდერონის სასარგებლოდ დაფიქსირეს.

მერე რინგზე ავიდნენ 19 წლის ხულიო სეზარ ჩავეს უმცროსი და 32 წლის რუბან კალვანი, რომელშიც პირველმა ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა მეოთხე რაუნდში. კალვანი ერთხანს უძალიანდებოდა ჩავესს, მაგრამ მეოთხე რაუნდში მუშტების სეტყვა დაატყდა თავს და ამიტომ მისმა სეკუნდანტებმა რინგზე პირსახოცი გადააგდეს.

იმ დღეს მთავარი მოულოდნელობა აღმოჩნდა WBA-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ნოკაუტით კვანტ ანდერსენის დამარცხება. მას საკმაოდ ძველებური ტექნიკით მოკრივე, კოლუმბიელმა კარლოს მაუსიმ [illegible] ერველი ქვესაშუალო წონა.

იმ საღამოს მთავარი ბრძოლა ისე დაიწყო, როგორც სპეციალისტები ვარაუდობდნენ. უფრო ახალგაზრდა და რეაქტიულმა მეივზერმა ხელი იმთავითვე დაემარცხებინა მტერი. მართლაც, რაუნდის დასასრულს კანადელი ნოკდაუნში აღმოჩნდა. თუმცა ამ ეპიზოდში რეფერის დაფიწყება ბრძოლის შეჩერება მას მერე, რაც გატიმ ხელები ჩამოუშვა და პაუზას დაელოდა. მეორე, რაუნდში კანადელმა მო

თბილისური პირამიდა დასრულდა

კავკასიას ბათუმი გააერთიანებს



პაატა ხმალაძე

ბილიარდის კლუბ „ზევსში“ დასრულდა თბილისის რეიტინგული ჩემპიონატი კომბინირებულ პირამიდაში. წინა შეჯიბრების რეიტინგით შერჩეული საქართველოს 16 საუკეთესო მობილიარდე ოთხი დღის განმავლობაში არკვევდა უძლიერესის ვინაობას. ფინალში მოლოდინისამებრ თბილისელი პაატა ხმალაძე და სოხუმელი დავით გახოკიძე გავიდნენ. საბოლოოდ ხმალაძემ იმარჯვა და „აზიის თასის“ საგზურიც გაინაღდა. ეს ტურნირი ყაზახეთის დედა ქალაქ ასტანაში 28 ივლისს დაიწყება და საქართველოდან მხოლოდ ერთი მოთამაშეა მიწვეული.

ნატურნირევს ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ალექსიძემ უახლესი ინფორმაციაც გაგვაცნო. 15-18 სექტემბერს საქართველო მორიგ „კავკასიის თასს“ მიიღებს. ამჯერად მასპინძელი ბათუმი იქნება. უკვე სერიოზული სპონსორებიც გამოჩენილან და საპრიზო ფონდიც დამტკიცდა.

„კავკასიის თასი საერთაშორისო კალენდარშია შეტანილი და წლევანდელი ტურნირის ბათუმში ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება საერთაშორისო ფედერაციამ უკვე უფიციალურად დაადასტურა — გვითხრა ალექსიძემ — აჭარაში მსოფლიოს უძლიერესი მობილიარდეები ჩამოვლენენ. სულ 32 მონაწილე შეიკრიბება და საპრიზო ფონდი, 20 ათასი დოლარი, ყველა მათგანზე გადანაწილდება. ქართველი მოთამაშეები ბათუმში სექტემბრის დასაწყისში ჩავლენ, მანამდე კი საქართველოს ჩემპიონატსაც მოასწრებენ და ხეირიანი შეკრების გავლასაც.“

ოთარ მაღლაკელიძე

თავვმა თხარა, თხარაო...



იარომირ იაგრი განსაკუთრებით მოკრძალებული არასოდეს ყოფილა, ყოველთვის მოურიდებლად ამბობს თავის სათქმელს. ცხადია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ახალი კოლექტიური შეთანხმება ლიგასა და მოთამაშეთა ასოციაციას შორის, მისი გულახდილი კომენტარის გარეშე არ დარჩებოდა. ჩეხმა სუპერვარსკვლავმა ალბათ პირველად გამოხატა საჯაროდ მოთამაშეთა უმრავლესობის ფიქრები და ზრახვები.

მაშ ასე, ჩეხური ჰოკეის ფედერაციის საიტზე **WWW.HOKEJ.CZ** გამოქვეყნდა იაგრის მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელი ინტერვიუ

„ჩვენ ბრძოლა იმიტომ დავიწყეთ, რომ არ ვიყავით თანახმანი, ხელფასების ზღვარი შემოღებულიყო, ახლა კი ირკვევა, რომ თურმე ყველა ბედნიერი იქნება, თუ ეს მოხდება. გულახდილად რომ ვთქვათ, არავინ ელოდა, რომ ლიგის ხელმძღვანელები ასეთი დაჯერებულები იქნებოდნენ და ამგვარ მკაცრ პოზიციას დაიკავებდნენ. ასე რომ, ჩვენი მხრიდან ეს მხოლოდ და მხოლოდ რისკი და ცეცხლთან თამაში იყო, რომელიც არ გამართლდა“ — განაცხადა სუპერჩეხმა.

დაგვეთანხმებით, რომ უკეთ ვერავინ ახსნის შექმნილი ვითარების არსს. ისტორია ხომ ნათლად გვიჩვენებს, რომ მოთამაშეთა მხრიდან ეს მხოლოდ ავანტიურა იყო. უბრალოდ, ბობ გუდენაუმ და მისმა მომხრეებმა ლიგის მესვეურთა „აგდება“ სცადეს. მათ სურდათ, გამბედავი, მაგრამ ნაკლებად გამართლებული ხერხით ლიგისგან რაც შეიძლება მეტი პროცენტები მოეხვეჭათ, მაგრამ გერი ბეტმენი, წინა ლოკაუტისგან განსხვავებით, ამჯერად ანკესს არ წამოვგო.

ისე, იაგრის განსაკუთრებული გულისწყრომა პირადული მიზეზებითაც აიხსნება. როგორც ლიგის ყველაზე ძვირადღირებული ჰოკეისტი, სწორედ იგი კარგავს ყველაზე მეტ ფულს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნჰლპა, ბოლო ინფორმაციის თანახმად, ჰოკეისტთა ხელფასის 34 პროცენტით შემცირებაზე ყაბულდება, ჩეხი წელიწადში დაახლოებით 3-3,5 მილიონ დოლარს დაკარგავს.

სამველ ღარიბიანი

მოსკოვ-ოლქური მონაბეჭრი

მოსკოვის ოლქში დასრულდა საერთაშორისო ახალგაზრდული სპორტული თამაშები, რომელშიც დსთ-ს ქვეყნების, ბალტიისპირეთის, ჩინეთისა და სინგაპურის 4 000-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

საქართველოს სპორტსმენთაგან მედლები კვლავ ძიუდოისტებმა მოიპოვეს. შაბათს ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ალექსანდრე მაისურაძე (90 კგ). გუშინ იმავე ხარისხის მედალი დაიმსახურა კიდევ ერთმა ჩვენმა ძიუდოისტმა, რომლის ვინაობაც, სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ.

ასე რომ, საქართველოს ძიუდოისტებმა თამაშებზე სულ ერთი ოქროს, ორი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ჩვენმა კალათბურთელმა ვაჟებმა მესამე ადგილისთვის შეხვედრა უკრაინელებთან დამატებით დროში წააგეს და მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

საერთო კომპლექსურ ჩათვლაში რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის მერე მეოთხე ადგილზეა საქართველოს დელეგაციაც, რომლის წევრთაგან მედლები დაიმსახურეს სამბისტებმა, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა, ძიუდოისტებმა და ერთმანეთ მძლეოსანმა.

საბოლოოდ ჩვენი დელეგაციის მონაგარი ასეთია: 5 ოქროს, 6 ვერცხლის და 10 ბრინჯაოს მედალი.

ევროპის ფაფუთა ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

VII ტური

ლევან ფანცულაია (საქართველო)	1:0	სერგეი რუბლევსკი (რუსეთი)
ზვიად იზორია (საქართველო)	0,5:0,5	ივან სოკოლოვი (რუსეთი)
ბაადურ ჯობავა (საქართველო)	0,5:0,5	კონსტანტინ ლუბულესკუ (რუმინეთი)
იანკ პელლეტიერი (შვეიცარია)	0,5:0,5	მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო)
ერნესტო ინარკიევი (რუსეთი)	0,5:0,5	მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო)
ვლადიმირ ჩუჩელოვი (ბელგია)	0,5:0,5	ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო)
მაჩეია რუტკოვსკი (პოლონეთი)	0:1	დავით მაღალაშვილი (საქართველო)

ფანცულაია ლიდერებს დაეწია

უკრაინელმა ვუნდერკინდმა, 15 წლის სერგეი კარიაკინმა თეთრი ფიგურებით ცხრილის აწ უკვე ყოფილ ლიდერს, შვეიცარიელ ვადიმ მილოვს მოუგო და მეწინავეობა ჩამოართვა. კარიაკინის მსგავსად იყოჩაღა რუმინელმა ლივიუ-დიტერ ნისიპეანუმ. მან სომეხ კარენ ასრიანს მოუგო და ყმაწვილ უკრაინელს გვერდში ამოუდგა.

წარმატებით თამაშობს 19 წლის ქართველი ლევან ფანცულაია. მეშვიდე ტურში სერგეი რუბლევსკისთან მოგებით იგი მეხუთე ადგილზე აღზევდა და ახლა ნახევარი ქულით ჩამორჩება პირველადგილოსნებს.

რუბლევსკისთან შეხვედრაში ფანცულაიამ დებიუტში მხედარი f3 უჯრაზე დასვა და ლაზიერის ფლანგიდან პაიკებით წავიდა წინ. მეშვიდე სვლაზე მოჭადრაკეებმა ლაზიერები გაცვალეს, ამიტომაც ასპარეზზე მსუბუქი ფიგურები გამოვიდნენ და მცირე იერიშებს შეუდგნენ. ფანცულაია თანდათან გააქტიურდა, ორივე ეტლი d ხაზზე განალაგა, მეტოქის ფლანგს დაუმიზნა და სახიფათოდ დაარტყა. მოჭადრაკეები დაფაზე მანევრირებას შეუდგნენ, თან რამდენიმე ფიგურა გაცვალეს და 35-ე სვლაზე ორივეს მხოლოდ 6-6 პაიკი და თითო-თითო მხედარი შერჩა. მათ პაიკების გაყვანაზე დაიწყეს ზრუნვა, სადაც ქართველმა იყოჩაღა, რუსს ყველა პატარა ფიგურა მოუკლა და 61-ე სვლაზე ქულა აიღო.

ძლიერი მეტოქე ერგო ზვიად იზორიასაც. იგი ჩემპიონატის მე-15 ნომერ ივან სოკოლოვს დაუპირისპირდა. ქართველმა ლაზიერის გამბიტით არჩია რუსთან თამაში და თავიდანვე მსუბუქი ფიგურებით შეუტია. შეხვედრა ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა. მოჭადრაკეები უფრო ეტლებით იბრძოდნენ და ერთმანეთს მძიმე დარტყმებს აყენებდნენ. ასეთი სისხლისმღვრელი შეტაკებების მიუხედავად, მეტოქეები არ გატყდნენ და 61-ე სვლაზე დაზავდნენ.

ლაზა გეგეჭკორი



ფანცულაიამ 61-ე სვლაზე იმარჯვა

1.	სერგეი კარიაკინი (უკრაინა)	6 ქულა
2.	ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი)	6
3.	ვადიმ მილოვი (შვეიცარია)	5,5
4.	ალექსეი დრეევი (რუსეთი)	5,5
5.	ლევან ფანცულაია (საქართველო)	5,5
38.	ბაადურ ჯობავა (საქართველო)	4,5
53.	ზვიად იზორია (საქართველო)	4,5
66.	მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო)	4
125.	მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო)	3,5
159.	ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო)	3
168.	დავით მაღალაშვილი (საქართველო)	3

ზელანდიელებმა ლომები კნუტებივით დაასრჩვეს



კლაივ ვუდვორდი მატჩამდეც შეფიქრიანებული გახლდათ

25 ივნისი. ქრაისთჩარჩი

ახალი ზელანდია 21:3 ლომები

ახალი ზელანდია: ლეონ მაკდონალდი (მილს მულიანინა 69), დაგ ჰაულეთი, ტანა უმაგა (რიკო გირი 75), აარონ მაუგერი, სტივენი სივივატუ, დანიელ კარტერი, ჯასტინ მარშალი (ბაირონ კელეჰერი 67); როდნი ოსოიალო, რიჩი მაკქოუ, ჯერი კოლინსი (სიონე ლაუაკი 77), ალი უილიამსი, კრის ჯეკი, კარლ ჰეიმანი, კევინ, მეალამუ (დერენ უითქომბი 75), ტონი ვუდკოკი (გრეგ სომერვილი 67)

გამოუყენებელი მორგბე: ჯონო გიბსი

2 *ლელო:* უილიამსი, სივივატუ; 1 *გარდასახვა:* კარტერი; 3 *საჯარიმო:* კარტერი

ლომები: ჯეისონ რობინსონი (შეინ ჰორგანი 57), ჯოშ ლიუსი, ბრაიან ოდრისკოლი (უილ გრინვუდი 2), ჯონი უილკინსონი, გარეთ თომასი; სტივენ ჯონსი, დუეინ დილი (მეტ დოუსონი 74); მარტინ ქორი, ნილ ბეკი, რიჩარდ ჰილი (რაიან ჯონსი 18), ბენ ქეი (დენი გრიუკოკი), პოლ ოკონელი, ჯულიან უაითი, შეინ ბირნი (სტივენ ტომსონი 57), გეთინ ჯენკინსი

გამოუყენებელი მორგბე: გრემ როუნთრი

1 *საჯარიმო:* უილკინსონი

მოჩხუბარი და ნაცემი ევროპელები

შაბათს ქრაისთჩარჩში ბრიტანელ-ირლანდიელი „ლომები“ ახალი ზელანდიის ნაკრების პირისპირ წარსდგნენ. რაც ეს ზელანდიური ტურნე დაიწყო, მას მერე ელოდა გულშემატკივარი ამ დღეს. „შავებამდე“ ლომებმა 6 თამაშის ჩატარება მოასწრეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, საქმეში ჩახედულ სპეციალისტს ვერ ნახავდით, პირველ ტესტ-მატჩში ფსონს ევროპელებზე ჩასულიყო.

სტუმართა მწვრთნელი, სერ კლაივ ვუდვორდი მთელი ტურნეს განმავლობაში მიმართავდა ექსპერიმენტებს, რათა გადამწყვეტ დღეს სათამაშოდ ოპტიმალური შემადგენლობისთვის მიეგნო.

ვინ აღარ მდგარა 10 ნომერზე ამ ტურნეში, ახლა კი სტივენ ჯონსი გამწესდა ამ პოზიციაზე. აწ უკვე ლეგენდარული ათიანი — ჯონი უილკინსონი კი მწვრთნელმა გაათორმეტა. შედეგი — სტივენ ჯონსმა კარიერაში ერთ-ერთი უსუსტესი მატჩი ითამაშა და ზელანდიელთა ერთ-ერთი ლელოც მისი შეცდომის წყალობით გავიდა. არც ჯონი ბრწყინავდა და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ეს მორაგბე ჩვეულად ვეღარ ჩაუქობს, მით უმეტეს, მისთვის უჩვეულო პოზიციაზე.

„ლომებმა“ რომ თამაში დათმეს, ამას სტატიის თავში დართული ანგარიშიდანაც კარგად ხედავთ, თუმცა ზელანდიელებს უფრო დიდი სხვაობით მოგებაც შეეძლოთ.

წაგება წაგებად და მომხდურთ სხვა უსიამოვნებაც ბლომად შეემთხვათ. სანამ თამაშზე მოგახსენებდეთ, ამ ამბებზეც ვთქვათ ერთიორი სიტყვა.

პირველ რიგში დენი გრიუკოკის დაკარგვაა აღსანიშნავი. „ბასის“ ვარსკვლავს 26 აგვისტომდე თამაში აღარ უწერია და ამის მიზეზი მისი უსაქციელობაა. მაორთა ჰუკერ კევინ მეალამუს მეორე ტაიმში დენიმ ისე წაუთაქა, რომ ცემა-ტყეპის გარდა მის საქციელს სხვა სახელი ვერ მოეძებნება. აქვე ისიც დავამატოთ, რომ გრიუკოკისთვის ამგვარი ქცევა ჩვეული ამბავია და მეტოქეთა არასარაგბო წესებით რბევისთვის დისკვალიფიცირებული არაერთხელ ყოფილა.

ერთ გრიუკოკს კიდევ გადაეტანს კაცი, მაგრამ კლაივ ვუდვორდს მის გარდა კიდევ სამი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდა. ტომ შენკლინი და რიჩარდ ჰილი სერიოზულად დაშავდნენ, გუნდის კაპიტან ბრაიან ოდრისკოლს კი ზემოთ ნახსენები კევინ მეალამუ და მაორთა ბელადი, ტანა უმაგა შეასკდნენ. ვისაც ეს ხალხი ნანახი გყავთ, არ გაგიკვირდებათ, რომ ოდრისკოლმაც ტრავმა მიიღო და „ლომებს“ ვერ დაეხმარება.

მატადორები ლომების ფინაალშიდეგ

მოდით, თამაშსაც მივხედოთ, ოღონდ აქედანვე შევთანხმდეთ, გუნდი, რომელიც რაგბის თამაშობდა, ახალი ზელანდიის ნაკრები იყო, მათი მეტოქე კი წვალობდა, უთავბოლოდ და ყოველგვარი ფანტაზიის გარეშე უტევდა და დაახლოებით ასევე იცავდა თავს.

მსაჯის პირველი სასტვენიდან ბოლომდე მასპინძლებს სტუმრებისთვის არც ბურთი დაუთმიათ და არც ტერიტორია. თავიანთი ორი ლელოს წილ კი მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანის შესაძლებლობა მისცეს მომხვდურთ.

სტივენ ჯონსი და ჯონი უილკინსონი ვერც შეტევაში ვარგოდნენ და ვერც დაცვაში. მოედანზე რა ევალებოდათ, თითქოს არც კი იცოდნენ. განსაკუთრებით უილკინსონზე შეიძლება ამის თქმა, რომელიც მისთვის უჩვეულო ცენტრალური ინსაიდის პოზიციაზე თამაშობდა. ერთადერთი, რამაც ოდინდელი ჯონიბოი გაახსენა გულშემატკივრებს, მის მიერ შესრულებული კინკილა ზუსტი საჯარიმო იყო.

ერთ-ერთმა უცხოურმა ვებგვერდმა ასეთი შედარება გააკეთა: „მატჩი კორიდას წააგავდა. მოგეხსენებათ, სანამ მატადორი ხარს უკანასკნელ დარტყმას მიაყენებს, ჯერ რამდენჯერმე გაატარებს ხოლმე მას, ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში რამდენიმე მახვილს დაარჭობს და მხოლოდ შემდეგ უღებს ბოლოს.“

ვერაფერს იტყვი, ზუსტი შედარებაა. რა თქმა უნდა, მატადორად ახალზელანდიური ნაკრები მოგვევლინა, გახელებულ-გაშმაგებული ევროპელები კი აქეთ-იქით აწყდებოდნენ, თუმცა ვერას გახდნენ.

მატჩის დასაწყისში მობერილ ნიავს მალე წვიმაც დაემატა, რომელმაც მეორე ტაიმში უფრო იმატა და ისედაც ცუდად მობურთალმა ევროპელებმა უფრო მოუხშირეს შეცდომებს.

მას შემდეგ, რაც უილკინსონმა ბურთი თამაშში შეიყვანა, დიდი დრო არ გასულა, მაგრამ მასპინძელთა უპირატესობა უკვე საგრძნობი გახლდათ. ამას ოდრისკოლის ტრავმაც დაერთო და ულიდეროდ დარჩენილ ევროპელებს მაორთა შეტევების შეჩერება უფრო გაუჭირდათ.

მასპინძელთა ერთ-ერთი შეტევისას ტანა უმაგამ კარტერს გამოზომილი პასი მიართვა, მან კი შეტევაში მარშალი ჩართო და „ლომებს“ წესები რომ არ დაერღვიათ, ლელო გარდაუვალი იქნებოდა. კარტერმა საჯარიმო გამოიყენა და ზელანდიელები დააწინაურა.

მაორთა ათმა ნომერმა იგივეს გაკეთება მას შემდეგ შეძლო, რაც პოლ ოკონელმა კიდევ ერთხელ ჩაშალა ლელოს გასატანად შემართული ზელანდიელების შეტევა, რაც მას ყვითელ ბარათად დაუჯდა,. გუნდს კი კიდევ ერთ საჯარიმოდ.

24-ე წუთზე მოსახდენი მოხდა. „ლომებმა“ აუტი ზუსტად ჩააწოდეს, იმდენად ზუსტად, რომ ბურთი პირდაპირ ალი უილიამსს მიუვიდა. ერთია დასანანი — ალი უილიამსი ზელანდიელია და რა გასაკვირია, თხუთმეტიოდე მეტრის გარბენა არ დაზარებია, რომ სტუმართა ჩათვლის მოედანში შეეღწია. კარტერმა ვერ გარდასახა და ანგარიშიც 11:0 დარჩა.

დარჩენილ 16 წუთში მასპინძლებს ორიოდ ლელოს გატანა კიდევ შეეძლოთ, თუმც სტუმრებმა ამჯერად მათი შეჩერება შეძლეს და გუნდებმა გასახდელს მიაშურეს.

რა უნდა ეთქვა შერცხვენილი ბრიტანელ-ირლანდიელებისთვის შესვენებაზე სერ კლაივს? ან რისი შეცვლა იყო საჭირო თამაშში? ამას ჩვენ ვერ გამოვიცნობთ, თუმც ერთი კი ფაქტია — ოკონელისთვის, რომელიც პირველ ნახევარშიც უადგილო ადგილას უხეშობდა, არ შეუხსენებია, რომ ფრთხილად თამაშია საჭირო, ვინაიდან „ლომების“ ოთხიანმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე დაარღვია თამაშის წესი და კარტერმა კიდევ 3 ქულა მიითვალა.

ოთხიოდ წუთში კი ზელანდიელებმა მატჩი ბრწყინვალე ეპიზოდით დაამშვენეს. აარონ მაუგერმა ტანა უმაგას უპასა, მან კი ოცმეტრიანი პასი გაუჭრა სტივენ სივივატუს, რომელმაც გზად ჯოშ ლიუსი და ჯონი უილკინსონი ბავშვებივით ჩამოიტოვა და მომხდურთა ლელოში შეინავარდა. კარტერის გარდასახვით სხვაობა 21:0 გახდა.

დარჩენილ დროში გუნდებმა კიდევ რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს, თუმც ანგარიშის შეცვლა მხოლოდ უილკინსონს შეძლო საჯარიმო დარტყმის წყალობით.

პირველი სისხლი

ზემოთ ერთ-ერთი ვებგვერდი ვახსენეთ და ისევ იმას დავესესხოთ მატჩის შედეგის შეფასებისას, ზელანდიელებმა „პირველი სისხლი“ იგემეს და საეჭვოა, საბოლოო სერიაში გამარჯვება გაუჭირდეთო.

ალბათ, გახსოვთ ამერიკული ტრილოგია ჯონი რემბოს შესახებ. პირველ ფილმს „პირველი სისხლი“ ერქვა და მასში, დანარჩენი ორი ფილმისგან განსხვავებით, ყველაზე ცოტა სისხლი დაიღვარა.

ზელანდიურ ტურნეშიც იგივე ამბავია. ახლა თუ მაორებმა მხოლოდ 18 ქულის სხვაობით მოიგეს, სავარაუდოა, რომ დანარჩენ ორ მატჩში უარესი მოხდება. კლაივ ვუდვორდის არსენალში არ აღმოჩნდა არაფერი, რაც შეიძლება „შავებს“ დაუპირისპირდეს. საეჭვოა, სახელიანმა მწვრთნელმა დარჩენილ დროში რაიმეს კარდინალურად შეცვლა მოახერხოს.

ლადო ფულუკიძე



კარგად აწვდიან აუტს ლომები... ვარჯიშზე

ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘ 2005

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ᲑᲐᲚᲐᲮᲘ. ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ 10 085 510 ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲪᲘᲢᲐᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲔᲛᲮᲝ



ᲔᲜᲓᲠᲘᲣ ᲛᲘᲣᲠᲘᲔ

ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ

ᲩᲕᲔᲜ მიერ მიმოსახილ დღეს, ანუ შაბათს — და, მოგეხსენებათ, ტურნირის შუა კვირას უიმბლდონზე ისეთები ხალმე — მოულოდნელი ალიარაფერი მომხდარა, ცხადია, 30 წლის ამერიკელ ვილ კრეიბასისგან კოჭმტკივანი სერენა უილიამსის გაბუნძულებას თუ არ ჩავთვლით.

არადა, ტრავმირებულ სერენას ოღონდ, სერენისა, რომელმაც პირველ ორ წრეში საკმაოდ ოკრო-ბოკრი ჩიგბურთი ამეწა და გავაკება უწინარესად მეტოქეთა — ანჯელა ჰენისისა და მარა სანტანჯელოს გამოუცდელობის გამო შეძლო, ეგებ მართლაც არ იყოს განსაკუთრებული ხენაკიცია რიგში გასაყვანი.

რატომ? იმიტომ, რომ კოჭისძვალგაბზარული უმცროსი უილიამსდა უიმბლდონისთვის ხელიანად კი არა, ლაბის საერთოდ არ მომზადებულა და ტურნირზე ჩასვლაც მხოლოდ უკანასკნელ მომენტში გადაწყვიტა. და რამდენიც არ უნდა ელაპარაკა მას, რომ ჩიგბურთში 60-70 პროცენტი მენტალობაა და რომ მისი ხასიათის მქონე ჩემპიონს ვერავითარი ტრავმა ვერ დაამარცხებდა, ლონდონურ კოინდარზე 2002-03 წლების დარად ე-შავლაზერა, ჩვენც ხომ კარგად ვიცოდით და ალბათ თავადაც მშვენივრად უწყოდა, რომ ეს ყველაფერი უკეთეს შემთხვევაში წარუმატებელი აუტოტრენინგი იყო, უარესში კი — ოღენ ულალი ბაზარი.

რაღა ბევრი შევიმასვენთ, მილეთი რომ მეოთხე წრეში უილიამსდათა მორიგ უიმბლდონურ შეხლას ელოდა, ახლა ვინუსს აქამდე არაფრით გამორჩეულ თვისტომ კრეიბასთან მოუწევს სამეოთხედფინალო საგზურისთვის ბრძოლა.

მესამე წრე

კაცები

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ნიკოლას კიფერი (25, გერმანია) 6:2 6:7 (5:7) 6:1 7:5; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:2 6:2 7:6 (7:4); **სებასტიან გროჯანი** (9, საფრანგეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სდჩ) 7:5 6:4 5:7 6:4; **ტომას იოჰანსონი** (12, შვედეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სდჩ) 6:2 6:3 6:1; **გილერმო კორია** (15, არგენტინა) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 3:6 3:6 6:2 6:2 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (18, არგენტინა) — ენდრიუ მიურეი (ბრიტანეთი) 6:7 (4:7) 1:6 6:0 6:4 6:1; **ხუან კარლოს ფერერო** (223, ესპანეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 3:7 6:2 6:1 6:1; **რიშარ გასკე** (27, საფრანგეთი) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 7:6 (7:3) 6:3 6:3; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — ირჟი ნოვაკი (28, ჩეხეთი) 5:7 7:5 6:4 7:6 (7:2); **მიხაილ იუჟნი** (31, რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:5 6:3 3:6 7:6 (11:9); **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — ალექსანდერ პოპი (გერმანია) 5:, 7:6 (7:6) 6:2 6:2

ქალები

ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — დინარა საფინა (30, რუსეთი) 6:2 6:1; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:2 6:4; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — სერენა უილიამსი (4, აშშ) 6:3 7:6 (7:4); **ნადია პეტროვა** (8, რუსეთი) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:4 6:3; **მარი პირსი** (12, საფრანგეთი) — ანა ივანოვიჩი (19, სდჩ) 6:1 6:4; **ვინუს უილიამსი** (14, აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (20, სლოვაკეთი) 7:5 6:3; **კიმ კლაისტერსი** (15, ბელგია) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:3 6:4; **ნატალი დეში** (16, საფრანგეთი) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:1 6:4; **ფლავია პენეტა** (26, იტალია) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:4 6:3

სერენამ კი მართლაც საარაკოდ ჩაიფლავა და, საღლ, პრესკონფერენციაზე ამას თავადვე რომ აღიარებდა. ასე ამბობდა, აქ უბრალოდ იმ სიტყვებს ვერ წარმოვთქვამ, რაც ჩემს ღელვანდელ უბადრუკ გარჯას შეეფერებოდ. ასე გამბითურებას ალბათ ისევ შინ დარჩენა სჯობდა, დასძენდა ბოლოს და, ჰი-ჰი, რომ უალრესად მართალიც გახლდათ.

სხვაფრივ — ტურფათა განყოფილებაში იმ დღეს ყველა ფავორიტმა გაიცალა და, სხვათა შორის, თუკი მეოთხე წრეში შიდაუილიამსურ დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ, სამაგიეროდ ამქრის ამყამნდელი და ოდნდელი პირველოსნების — ლინდსი დევენპორტისა და კიმ კლაისტერსის განდგანით მაინც დავტკბებით.

29 წლის ამერიკელმა, ვისაც უიმბლდონის კოინდარი საჩემპიონოდ 1999 წელს გაუჯეგავს, ფიორა ოფლიც არ მოანდომა მარატ საფინის უმცროსი დაიკოს, დინარას მოდრეკას. უსახელო იტალიელ რობერტა ვინჩისთან მოკეტნავე კიმმა კი კორტზე ოდნავ მეტი დრო დაჰყო.

შეგახსენებთ, რომ კიმსა და ლინდსის ერთმანეთში 16-ჯერ უპაექრიათ და ბუთქუნა ბელგიელი ჯერ-ჯერობით 9:7 უპირატესობს. ოღონდ, ბარემ აქვეა სათქმელი, რომ საკუთრივ ბალახზე ისინი მხოლოდ ერთხელ, 2001 წლის უიმბლდონურ მეოთხედფინალში შეეჯახნენ და მაშინ ლინდსიმ იმარჯვა. ლინდსისვე ეკუთვნის „ბოლო სისხლიც“ — მან კიმი წლევანდელი როლანგაროსობის მეოთხე წრეში დაამარცხა. თუკი მათ ამჟამინდელ რიგიან ფორმას გავითვალისწინებთ, მაშინ ამ დაპირისპირების შედეგის გამოცნობა ერთობ გაჭირდება. ისე კი, აფსუსია, ასეთი ბობოლები ერთმანეთს უკვე მეოთხე წრეშივე რომ ეტაკებიან.

რაც შეეხება შარშანდელ დედოფალ მარია შარაპოვას, მას ჯერ ანგარიშგასაწევი მეტოქე არ რგებია და, საეჭვოა, სერიოზული პრობლემები მეოთხე წრეში ნატალი დეშისგან ემუქრებოდეს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისი ზედიზედ მეოცე სანალახსაფრო გამარჯვებისას, რომელიც მან კატარინა სრებოტნიკისგან მიითვალა, ის ხამუშ-ხამუშ არადამაჯერებლადაც გამოიყურებოდა.

„ჰო, ცოტა უფრო გამიჭირდა — აღიარებდა ის მერე — ნატალიმ მოახერხა, რომ ჩემს გეიმებზე მომძალებოდა, თუმცა რთულ ვითარებაში ჩემმა პირველმა მოწოდებამ მიშველა.“

ქალთაგან იმ დღეს ორმა ვეტერანმაც იბურთავა, ამასთან, უკეთუ უიმბლდონის 1994 წლის ჩემპიონმა კონჩიტა მარტინესმა ჩეხ კვეტა პეშკესთან დათმო, 30 წლის მარი პირსმა, ვინაც წლეულს როლანგაროსობის ფინალშიც გაირონია, ჭაბუკა სერბ ანა ივანოვიჩს აჯობა და 1996 წლის შემდეგ კარიერაში მეორედ ეცდება, უიმბლდონურ მეოთხედფინალში გარეკას. საამისოდ ეგებ ურიგო შანსებიც არ ჰქონდეს, ვინაიდან იტალიელ პენეტას შეხვდება. თუმცა თავად მაინც ფხიზლადაა:

„დრო გადის და ამქარში სულ უფრო მაღალი, ღონიერი და სწრაფი გოგონები მოდიან. მათთან ტოლსწორად საჭიდაოდ შენც მუდმივი წინსვლა გჭირდება.“

ახლა კი კაცებზეც.

ორგზის ტიტულდამცველმა როჯერ ფედერერმა თავისი პირველი საამტურნირო სეტი დათმო გერმანელ კიფერთან, თუმცა ჯამში მაინც ზეგარდმოდ იბურთავა და 37-ე წლევანდელ შეხვედრაში 54-ედ რომ იმარჯვა, იმავდროულად ზედიზედ 32-ე სამალახსაფრო გამარჯვებაც მოიმკა.

ნამატჩევს კი საუბრის იშტაზე მოვიდა და — სხვა ყველაფერი რომ ამოვაგდოთ — ერთი მნიშვნელოვანი რამ თქვა. სახელდობრ, ავსტრალიასა და საფრანგეთში ნაწვნევ მარცხებს მხოლოდ აქ მოგება თუ ამინაზღაურებსო.

ამის მისაღწევად ფედერერს ჯერ მეოთხე წრეში ხუან კარლოს ფერეროს ძლევა მოუწევს, ვისთანაც საკარიეროდ 5:3 უპირატესობს; მეოთხედფინალში ან ჩილელი ფერნანდეზ გონსალესი შეხვდება, ანაც რუსი მიხაილ იუჟნი; ნახევარფინალში, დიდი შანსია, უიმბლდონის 2002 წლის ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტს გადაეყაროს, ხოლო ფინალში — შარშანდელ სატიტულო მატჩში მის მიერ ძლეულ ენდი როდიკს.

ამათგან ჰიუიტმა თავისი საქმის მომთავრება პარასკევსვე მოასწრო — ის ტანსრულ ამერიკელ ჯასტინ გიმელსტობს გასცდა და თუმც ბიგადაშიგ სცოდავდა, უფრო ხშირად მაინც მხოლოდ მისთვის ჩვეული კისკასობით სწყვეტდა ანლოდისტებს.

როდიკმა ორ დღეზე გაჭიმულ მეორე წრეში საკმაოდ იწვალა ზორბა იტალიელი კვალიფიკანტის, ივო კარლოვიჩის მოტარ დანიელე ბრაჩალის დასამორჩილებლად, მესამეში კი შედარებით იოლად შემუსრა რუსი იგორ ანდრეევი. მეოთხედფინალში მოსახვედრად ის გილერმო კორიას უნდა ერკინოს, ვისაც ოთხ აქამომდელ მატჩში ოთხჯერვე მორევია. ჰიუიტის მეტოქე კი ზორბა და მძლავრად მომწოდებელ-მოგლაჯუნე ტალიორ დენტი იქნება.

აქ გილერმო კორია ვახსენეთ და ბარემ იმაზეც მიგითითებთ, რომ მანაც და მისმა თვისტომმა დავიდ ნალბანდიანმაც შაბათს მიკროგმირობები ჩაიდინეს, როცა პირველი ორ-ორი სეტის წაგების შემდეგ ზედიზედ სამსამი მოიგეს. კორიამ ავსტრიელ მელცერს მოუგო, 2002 წლის ფინალისტმა ნალბანდიანმა კი ბრიტანეთის უკანასკნელი იმედი, 18 წლის ალაზგოული ენდრიუ მიურეი ჩაჩოგნა. ტომ ჰენმანის მეორე წრიდანვე გავარდნის შემდეგ ეს ნატეხი ყმაწვილი კუნძულელებს თავიანთ ბოლო საუიმბლდონო ციტადელად ეგულვოდათ, მაგრამ — ვაგლახ — ბრიტანეთს ამ ჯერზეც მოუგებელი რჩება ფრედი პერის, ანუ 1936 წლის მერე ეგრეც ვერც ერთი მათიანის მიერ ველარ შემართული საუიმბლდონო სინი.



ᲔᲜᲓᲘ ᲠᲝᲓᲘᲙᲘ „ᲞᲐᲠᲢᲔᲠᲨᲘᲪ“ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲓ ᲩᲝᲒᲜᲐᲝᲑᲡ

ტრაგედია



ამერიკის მძლეოსანთა ჩემპიონატზე მოთელვისას ბირთვი თაეში მოხვდა სტადიონის თანამშრომელს, 77 წლის პოლ სუზუკის, რომელიც უმალ საავადმყოფოში გააქანეს, მაგრამ იმ უბედურმა იქამდე ცოცხალმა ვეღარ მიაღწია.

ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაზე საჭურველი უნდა შეესაბამებოდეს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილ ნორმებს. ამის საფუძველზე ვაჟები 7 კილოგრამზე ოდნავ მძიმე და 10 სანტიმეტრზე ცოტა მეტი დიამეტრის ბირთვს კრავენ. ქალთა ბირთვი ასევე შთამბეჭდავია — 4 კილოგრამი და დიამეტრით 10 სანტიმეტრზე ცოტა ნაკლები. ჰოდა, როცა ასეთი უშველებელი ბირთვი ვინმეს მოხვდება, მით უმეტეს ზემოდან ჩამოვარდნილი დაეცემა, ძნელია, რომ იგი ცოცხალი გადარჩეს.

ბირთვის კვრისას დამცავი ბადე იმგვარადაა დაპროექტებული და დაყენებული, რომ გაუძლოს ბირთვს, როცა ის წამში 32 მეტრის სისწრაფით მიფრინავს. ისიც გათვალისწინებულია, რომ ბადემ ბირთვი სპორტსმენისკენ არ აისხლიტოს. მაქსიმალურად სახიფათო სექტორი, როცა ბირთვს ასეთი დამცავი ბადის შიგნიდან ცაციებიც ტყორცნიან, დაახლოებით 85 გრადუსია. ეტყობა, ის ბირთვი ამ სექტორში გაფრინდა, რამაც სტადიონის თანამშრომელი იმსხვერპლა.

ავთანდილ ბუკვიზელი



საპლიაჟო ფრენბურთმა ნათლიმამა დაკარგა

სპორტის ამა თუ იმ სახეობის გამომგონებელთაგან დღეს ცოცხალი მგონი აღარავინაა, რადგან ყოველივე მრავალი წლის წინათ გამოიგონეს. აქამდე ერთადერთი, ამერიკელი ჩარლი სეიკლი იყო ცოცხალი და ისიც სამოდე დღის წინათ, 69 წლის გარდაიცვალა.

სეიკლი იყო საპლიაჟო ფრენბურთის ნათლიმამა და პირველი პოპულარიზაროტი მთელ მსოფლიოში. იგი მანჰეტენ ბიჩში, რომელიც ლოს ანჯელესის მახლობლადაა, მთელი 40 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა გამაჯანსაღებელ პროგრამას, ხოლო 60-იან წლების დასაწყისში საპლიაჟო ფრენბურთის შეჯიბრებათა ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი გახლდათ. იგი ამ შეჯიბრებათა მთავარი ორგანიზატორი იყო და მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა, რომ 80-იან წლებში ეს ტურნირები პროფესიონალურად გადაქცეულიყო. სეიკლის თავგამოდების წყალობით საპლიაჟო ფრენბურთი 1996 წლიდან მოყოლებული ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია.

ავთანდილ ბუკვიზელი

ეულიი ნიჩბოსანი ოკეანეში

ამ დღეებში ფრანგმა ემანუელ კუანდრმა ტოკიოს დასავლეთით მდებარე პორტიდან ამერიკის სანაპიროებისკენ ნიჩბიანი ნავით მარტოდმარტომ გასწია, რათა წყნარი ოკეანე შეუსვენებლად გადასეროს. მისი მოგზაურობა სან ფრანცისკოს ყურეში დასრულდება. ემანუელ კუანდრმა განიზრახა 9 ათასი კილომეტრი სამ-ოთხ თვეში დაფაროს.

ამ ფრანგის აქტივში უკვე არის ატლანტიკის ოკეანეში ხუთი მოგზაურობა. 2001 წლის გაზაფხულზე მან კანარის კუნძულებიდან კარიბის გვადელუპის სანაპიროებამდე რეკორდულ დროში — 57 დღესა და 4 საათში მიაღწია. მისი მიღწევა 2002 წელს გაუმჯობესა ცნობილმა რუსმა მოგზაურმა ფედორ კონიუხოვმა, რომელმაც ეს მანძილი 11 დღით ნაკლებ დროში დაფარა. 2002 წლის ზაფხულში კუანდრმა ჩატემიდან აიღო სტარტი და 87 დღის შემდეგ საფრანგეთის კუნძულ უესანს მიაღწია, ეს ადგილი კი საოკეანო ნიჩბოსანთათვის განსაკუთრებით რთულად ითვლება.

კუანდრმა თავისი კიდევ ერთი ტრანსატლანტიკური გადაცურვა წყლის ველოსიპედით განახორციელა. იგი 1999 წლის 12 დეკემბერს კანადის კუნძულებიდან შეება ტალღებს და 99 დღის მერე ბარბადოსს მიაღწია.

ავთანდილ ბუკვიზელი

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
VIII ეტაპი. საბერძნეთი. 349,7 კმ



სებასტიენ ლოებმა ზედიზედ მეხუთე დიდი პრიზი მოიგო

რბოლის შედეგები

1	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	4სთ; 12.53,7
2	ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, ფორდი)	ჩამორჩა 1.36,2
3	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	2.11,1
4	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო)	2.56,4
5	მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი)	3.13,2
6	ჰარი როვანპერა (ფინეთი, მიცუბისი)	3.44,4
7	ჯანლუიჯი გალი (იტალია, მიცუბისი)	5.19,6
8	მარკო მარტინი (ესტონეთი, პეჟო)	5.37,5

საერთო ჩათვლა

1 ლოები — ელენა 65 ქულა; 2 პ. სოლბერგი — მილსი (სუბარუ) 42; 3 გარდმაისტერი — ჰონკანენი 39; 4 მარტინი — პარკი 39; 5 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 37; 6 როვანპერა — პიეტილაინენი 16; 7 შტოლი — მინორი (ავსტრია, სიტროენი) 11; 8 საინსი — მარტი 11; 9 კრესტა — მოჟნი (ჩეხეთი, ფორდი) 10; 10 პ. სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, ფორდი) 9

კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 84ქულა, პეჟო 79, ფორდი 57, სუბარუ 47, მიცუბისი 37, შკოდა 8

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეშვიდე ეტაპი



AFP ასოციაციდან

ვალენტინო როსის სარეკორდო ფინიში

იტალიური დუელი დოქტორმა მოიგო

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ვალენტინო როსიმ ზედიზედ მეხუთე ეტაპი მოიგო „იამაჰთი" და ამერიკელი ლოუსონის თითქმის ოცი წლის წინანდელი რეკორდი გაუმჯობესა.

26 წლის იტალიელმა „დოქტორმა" ჰოლანდიაში საკვალიფიკაციო ბრძოლაშიც გაიმარჯვა, ზღაპრულ კარიერაში 29-ედ, და რბოლაშიც პირველობა არავის დაუთმო. თუმც სტარტზე ყველაზე წინ მდგომი ზედმეტად ფრთხილად, ნელა დაიძრა და უცებ პირველიდან მეშვიდე პოზიციაზე ჩამოქვეითდა. მაგრამ შეფერხება დროებითი აღმოჩნდა. ვალენტინო ხუთიოდ წრეში მესამე გახდა, ხოლო შუა დისტანციაზე მოსახვევის წინ გვიან დამუხრუჭების ხარჯზე რისკიანი მანევრით დიდოსტატურად აუარა გვერდი ჯერ შარშანდელ მეორე პრიზიორ სეტე გიბერნოს, მერე კი მარკო მელანდრის და 20-მოტოიან ქარავანს თავში მოექცა.

22 წლის მარკომ ყოჩაღად ირბოლა, ლეგენდარულ თანამემამულეს ბოლომდე კუდში სდია და ერთიორჯერ გასასწრებადაც შეუტია, მაგრამ ჩემპიონმა უპრობლემოდ შეინარჩუნა მეწინავეობა და „სამეფო კლასში" თავის 87-ე რბოლაში უკვე 48-ე დიდი პრიზი დაისაკუთრა.

„მოტო-შუმახერი" ფანტასტიკური სეზონს ატარებს — შვიდიდან ექვსი ეტაპი მოიგო, ერთხელაც მეორე იყო, საერთო ჩათვლაში რა ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეს და ნათელია, რომ მორიგი ტიტულის მოპოვებაში ვერავინ შეეშლის ხელს.

მელანდრის სამწლიან კარიერაში ეს პირველი მეორე ადგილია, ხოლო როსის თანაიმაჭელი, „ბედხასელი ტორნადო" კოლინ ედვარდსი წლეულს მეორედ შედგა ძიდიუმზე.

აღსანიშნავია, რომ „ტტ ასენის" თითქმის კილომეტრიან სასტარტო სწორზე ყველაზე მაღალი სიჩქარე — 306,3 კმ/სთ მელანდრის „ჰონდამ" განავითარა.

ჰოლანდიაში მოტოშეჯიბრი დიდად პოპულარულია. გუშინწინდელ გარბოლებას, რომელიც „ტიტების ქვეყანაში" უკვე 75-ედ მოეწყო, 90 000 მაყურებელი დაესწრო. ექვსკილომეტრიან ტრეკს, რომელსაც უსაფრთხოების მიზნით შარშან მცირე რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, საერთაშორისო მოტოფედერაციამ საჩემპიონატო ეტაპების ლიცენზია კიდევ ათი წლით გაუხანგრძლივა.

გია ახალაძე

პოლანდიის დიდი პრიზი. ასანი — 59973

მოტო გრან პრი — 113,9 კმ

1	ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაპა)	38 წთ; 41,8
2	მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა)	ჩამორჩა 1,6
3	კოლინ ედვარდსი (აშშ, გალუაზ იამაპა)	7,6

საერთო ჩათვლა

1 როსი 170 ქულა; 2 მელანდრი 107; 3 მაუს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) 87; 4 სეტე გიბერნო (ესპანეთი, მოვისტარ ჰონდა) 84; 5 ალექს ბარუში (ბრაზილია, ქემელ ჰონდა) 74

250 სმ³ — 107,9 კმ

1	სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია)	38 წთ; 02,2
2	დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა)	ჩამორჩა 0,4
3	ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა)	1,2

საერთო ჩათვლა

1 პედროსა 143 ქულა; 2 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია) 106; 3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) 102; 4 პორტო 74; 5 ჰიროში აოიამა (იაპონია, ტელეფონიკა ჰონდა) 71

125 სმ³ — 102,0 კმ

1	გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM)	38 წთ; 09,5
2	ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, მასტერ აპრილია)	ჩამორჩა 0,7
3	მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია)	0,8

საერთო ჩათვლა

1 პასინი 100 ქულა; 2 ტალმაში 100; 3 ტომას ლუტი (შვეიცარია, ჰონდა) 89; 4 პიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) 82; 5 მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) 72



AFP ლონდონიდან

სამეფო ლოჟის გალერეა

უიმბლდონზე ხანდახან კორტს თვალს თუ მოსწყვეტთ და სამეფო ლოჟისკენ გააპარებთ, არაფერი დაშავდება. იქ ვის არ დაინახავთ: ბრიტ დიდძორაგბე ლოურენს დალალიოს მეგობარ გოგო ალის კორბეტთან; კამერისკენ ხელებგამოშვერილ ბილი ჯინ კინგს, თავის დროზე უგანთქმულეს შეჩოგნეს; გვარიანად მობერებული პირველი ჯეიმს ბონდი — სქოთი შონ კონორი მეუღლე მიშელინთან ერთად ბრძანდება; შავ ჰალსტუხიან პამაკაცში ჩელსელი ჯონ ტერის ამოცნობა უშეცდომოდ შეიძლება, მას გვერდს ტონი პული უმშვენებს.



AFP ლონდონიდან

ქვიშის ქალაქი

მარჯვნივაც და მარცხნივაც №2 იტალიელი პლაჟფრენბურთელი გოგო დანიელა პროსპერი გახლავთ, ერთ ფოტოზე თურქია გადმოგდებული ბურთის დაჭერას რომ ლამობს თანაგუნდელ კრისტინა ჯორიასთან ერთად, მეორეზე კი იქით აპირებს თურქებისკენ გადაგდებას. ეს ამბავი სამხრეთ ესპანეთში ხდება, სადაც ხმელთაშუა ზღვის მე-15 თამაშები ტარდება.



AFP ალმპერიიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოდის 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოიცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ათთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კიბა ანასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარეულია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოსერიკი, კაჯა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვა ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოხალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ჭინჭლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge